საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 8 ივნისი. 2016 წ. №104 (7996), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

◎ გულგახსნილი მინისტრი

ძალის ეკონომიკა შემცირდა, ტვინის ეკონომიკა გაიზარდა, ნავთობი გაიაფდა, ტვინი გაძვირდა. ამიტომ მგონია, რომ ახლა ნიჭიერ ტიპებს საწვავი რომ ჩაუსხა, შესაძლებელი იქნება, გლობალური სიკეთეები გავიდეს ამ ქვეყნიდან ჯართის ნაცვლად.

2

ალექსანდრე ჯეჯელავა:

ინტელექტუალური ლაშქარი გვჭირდება!

ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალებს კიდევ ერთხელ ჩამოხადა ნიღაბი, მაგრამ გაიგებს ამას „ცრუსთავი-2“-ისგან მოწამლულ-მოშხამული ხალხი?

3

◎ რეპორტიორი ტელეეკრანთან

SOS:

სანამ სოხუმ-ცხინვალის თემაც არ დახურულა...

4

რასაც დღეს პატრიოტ მოქალაქეთაგან ხშირად გაიგონებთ...

— ეს „რუსთავი-2“ მართლა ჯანსაღად კრიტიკული არხი რომ იყოს, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის ამჟამინდელი არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აწუხებს და არა ათასი ოხრობისა და მამაძაღლობის ჩამდენი ნაციონალების ხვალინდელი ბედი, ღმერთმანი, ვერ გაამტყუნებდი ეგრეთ წოდებულ ვითომ თავგადაკლულ მხარდამჭერებს, მაგრამ დიდად საეჭვოა, რომ თავისუფალმა დემოკრატმა ნინო გოგუაძემ და მემარჯვენე მანანა ნაჭყებიამ არ იცოდნენ, ვისი პროპაგანდისტული ბუკი და ნაღარაა ეს ტყუილმფრქვეველი არხი. არადა, სინამდვილიდან გამომდინარე, დაბეჯითებით ვერც იმას იტყვი, რომ ქალური პატივმოყვარეობის გამო ამ ორსავე გუშინდელ ნაციონალთა მჩქეფარე ოპონენტ მანდილოსანს ეკრანზე თავიანთი უცხო ეშხიანობისა და პირმწყაზარობის გამოფენა სურდეს.

მაშ, აბა, თუ პოლიტიკური მიკერძოებაც და ქალური სიკეკლუცეც უნდა გამოვრიცხოთ, რით უნდა ავსხნათ ის ამბავი, რომ თავისუფალი დემოკრატი ნინო გოგუაძეც და მემარჯვენე მანანა ნაჭყებიაც ამ დღეებში გვარამია-არამიას „ცრუსთავი-2“-ისთვის კალთის გადასაფარებლად ისევე გამუდმებით არიან ეკრანს დაუფლებულნი, როგორც სოფი ლორენი და ანჯელინა ჯოლი?!.

4

ჰანს-პეტერ ული:

საქართველო არც ვიზალიბერალიზაციის ღირსია და არც ნატოს წევრობის



პრემიერ-მინისტრი თურქ ხალხს უსამძიმრებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თუქეთში მომხდარი ტერაქტის გამო მწუხარებას გამოთქვამს და თურქ ხალხს, დაღუპულთა ოჯახებსა და მთავრობას უსამძიმრებს.

„მწუხარებას გამოვთქვამ სტამბოლის ცენტრში მომხდარი ტერაქტის გამო, რომელსაც გამვლელები და პოლიციელები ემსხვერპლნენ. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, თურქ ხალხსა და მთავრობას მომხდარი ტრაგედიის გამო. სამწუხაროა, რომ თანამედროვე სამყაროში უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს ბრძოლისა და ზემოქმედების იარაღად იყენებენ. მსოფლიო საზოგადოებას, ყველას ერთად მაქსიმალური ძალისხმევა გვმართებს ამ სისასტიკის შესაჩერებლად“, — ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის სამძიმრის წერილში.

მანქურთეგის ტყვეობაში

რომელი ქვეყნისა ხარ, „საქართველოს მთავრობავ?“

6

„შველი წყლის პირას“ ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა



ლონდონში გამართულ სოთბის აუქციონზე ნიკო ფიროსმანის ნახატი „შველი წყლის პირას“ 629 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

ლოტის საწყისი ფასი 150 000 გირვანქა სტერლინგიდან იწყებოდა.

აუქციონზე ასევე გაიყიდა ლადო გუდიაშვილის ტილო — ნიკო ფიროსმანის პორტრეტი — „ჩვენი ნიკო“. ლოტის საწყისი ფასი 4 ათასი ფუნტი იყო, გაყიდვის თანხამ კი 75 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

ორივე ქართველი მხატვრის ნამუშევარი ლონდონის სოთბის აუქციონზე რუსული ნახატების სექციაში იყო წარმოდგენილი.

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილი - აგარა-ზემო ოსიაურის 12-კილომეტრიანი გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო.

სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკს და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობისთვის. პრემიერ-მინისტრის თქმით, დღეს საქართველოს ბევრი ტურისტი სტუმრობს, რომლებიც შეძლებენ, ისარგებლონ ჩქაროსნული მაგისტრალით.

◎ გულგასხნილი მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა:

ინტელექტუალური ლაშქარი გვჭირდება!

დავით ადმაშენებელმა **რაც გააკეთა, მსგავსი რამე გვაქვს გასაკეთებელი - მაშინ მას მებრძოლები სჭირდებოდა, ახლა ჩვენ გვინდა ინტელექტუალური ლაშქარი", — ამის შესახებ „ინდიგოსთან" ინტერვიუში ალექსანდრე ჯეჯელავამ** **განაცხადა, რომელიც ამ დღეებში საქართველოს განათლების მინისტრად დაინიშნა.**

ინტერვიუში მინისტრი საკუთარ ცხოვრებაზე, წარმატებებზე, შეცდომებზე და სამომავლო გეგმებზე ორიგინალურად, მოულოდნელი რაკურსით საუბრობს.

— სანდრო, როგორ ფიქრობ, ამ მომენტში რა არის ყველაზე აუცილებელი შენთვის პერსონალური და პროფესიული წარმატებისთვის?

— მე რომ ოქროს თევზი შემხვდეს, ვეტყოდი: შემომიფარგლე თბილისიდან 1000-კილომეტრიანი რადიუსი და ისე გაიკეთე, რომ ამ ტერიტორიაზე ყველა მიცნობდეს — ეს პირველი; მეორე — არ მოვკვდე კიდევ 30 წელი; და მესამე — ფუნდამენტური ცოდნა მჭირდება! აი, ამ სამს ვეტყოდი და დამთავრდებოდა ჩემი შრომა და დაიწყებოდა მოღვაწეობა.

— რატომ მაინცდამაინც 1000-კილომეტრიანი ცნობადობა, რაში გჭირდება?

— რომ დამიჯერონ. მე ხომ განმანათლებელი ვარ?! ჩემი ამოცანაა, სხვების ცხოვრება შევცვალო. სხვების ცხოვრება რომ შეცვალო, უნდა იყო ცოცხალი, მაგარ რამეებს ლაპარაკობდე და გიჯერებდნენ! ცნობადობა სანთლის მაღლა დადგმის მცდელობაა. ანთებულ სანთელს მაგიდის ქვეშ არავინ დგამს, სანთელი რაც შეიძლება მაღლა უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს გაუნათოს. მე რომ არავინ მიცნობდეს, დამიჯერებდა 10 კაცი, თუ ჩემს მეგობრებს, მეზობლებს და თანამშრომლებს დავუმატებთ — 100-ზე ავდივარ, მერე 1000-ზე და ა.შ. ახლა, ალბათ მიცნობს 10 ათასი ან 100 ათასი საქართველოში და მინდა 10 მილიონი. რატომაც არა?! აი, მომავალ წელს, მაგალითად, სტენფორდში ვაპირებ დოქტორანტურაში ჩაბარებას.

— და რისი გაკეთება მოგიწევს სტენფორდში მოსახვედრად?

— ყველაფრის! იმდენად მაღალი კონკურსია, რომ ერთადერთი შანსია, თუ რომელიმე იქაური მაგარი პროფესორი იტყვის: ეს კაცი მე მინდა დოქტორანტად. ამიტომ ახლა „ნეტვორკინგის" ამოცანას ვჭრი, ვფიქრობ, როგორ მივაგნო საჭირო ტიპებს, იმ პროფესორებზე რომ გამიყვანენ, რომლებიც მე მაინტერესებს, რომ ჩავიდე და მოვხიბლო ეს ადამიანები.

— ამ ეტაპზე მაინც გჭირდება სწავლის გაგრძელება?

— ბევრ ამოცანას, რომლის მიღწევაც მინდა, სჭირდება საერთაშორისო ავტორიტეტი. ჩემი ავტორიტეტი, ჯერჯერობით, მხოლოდ ქართულია. საერთაშორისო ავტორიტეტს 5 წელიწადში კავშირებით ვერ მოიპოვებ და, საერთო ჯამში, ეს 5 წელიწადიც არ გეხარჯება, თუ სტენფორდის დოქტორანტი ხდები. რა წამსაც ეს მოხდება, იმ წამს შეიძლება დააკაკუნო, მაგალითად, არაბული კომპანიის კარზე. ეს ერთი; და მეორე — მიმაჩნია, რომ სიღრმისეული ცოდნა არა მაქვს, რაღაც წიგნები რომ წამიკითხავს, ეგ არ ითვლება. ორგანიზაციული ქცევა მაინტერესებს: მოტივაცია, ზრდა, გუნდურობა, კულტურა, კონკურენცია, ანუ ფსიქოლოგიისა და ბიზნესის გადაკვეთა. კონკრეტულად სტენფორდი კი იმიტომ მინდა, რომ მგონია, აქაურობას თუ გინდა დეხმარო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კუთხით, „სილიკონის ველზე" უნდა მოხვდე.

— საკმაოდ რთულად მისაღწევი მიზანი სრულიად რეალისტურად მიგაჩნია. რა არის ის, რაც თვითრწმენას გაძლევს?

— ეს არის ჩემი დანიშნულების ძალიან ცხადი გააზრება. მე რომ განმანათლებლობა მინდოდა, პროფესორობა და ლექტორობა რომ მინდოდა და სულაც არ მინდოდა ბიზნესი და დირექტორობა — ეს ვიცოდი, ოღონდ ცხოვრება აირია და ამ არეული ცხოვრების რიტმში გავუყევი სხვა გზას, ფულის დინებას, სტატუსის დინებას, ოჯახის შექმნის დინებას.

სახარებაში ყოველ მეორე სტრიქონში წერია — შენს თავს მიხედე, შენს თავს უშველე! ჰოდა, რატომ უნდა გამოვიძიო, ვინ არის მართალი და ვინ არა?

შეიძლება ითქვას, რომ 20 წელი სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე, ვაკეთებდი იმას, რასაც ჩემგან მოელოდნენ და არა იმას, რაც მინდოდა. ჰოდა, აი, ამ იდეასთან დაბრუნების პროცესში ვარ. ახლა რომ ვიყო 28 წლის, ვიფიქრებდი, რომ ძალიან ბევრი დრო მაქვს ამის გასაკეთებლად, არადა, 5 წელიწადში რომ დავბრუნდები, 48 წლის ვიქნები და ახლა ვითვლი, რამდენი პროდუქტიული წელი დამრჩა კიდევ, მაინტერესებს, ჯანმრთელობას რომ არ ვუვლიდი, ამ პირობებში რას მოვასწრებ.

იცი, როგორ არის, 40-დან 50 წლამდე თუ არ მოკვდი, მერე გაქვს 80-პროცენტიანი შანსი, რომ 80-ს მიუკაკუნო. ახლა 50-მდე უნდა მივაღწიო — ეს არის ამოცანა... მაგრამ ფუნდამენტური დასაყრდენი, მაინც ღმერთის რწმენაა. ვფიქრობ, რომ ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება — კარგიც და ცუდიც — დაკავშირებულია ღვთის ნებასთან, აი, ასე. პირდაპირ. მე რომ ღმერთის არ მჯეროდეს, ვერ ვხვდები, როგორ გავუმკლავდებოდი რთულ გამოწვევებს. თუ ისეთ რამეს აკეთებ, რაშიც ღმერთის ხელშეწყობა გაქვს, მაშინ საშიში აღარაფერია — თუ ღმერთი შენკენაა, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, შენ წინააღმდეგ ვინ იქნება?!

— კონკრეტულად მართლმადიდებლობაა შენთვის ღირებული?

— იცი, ასე ვიტყოდი: სწორედაც რომ მართლმადიდებლობაა ღირებული, მაგრამ ეს შეიძლება მარკეტინგის შედეგი იყოს. შეიძლება, სხვა ბაზარს დაქვემდებარებული რომ ვყოფილიყავი, მაგალითად, მეცხოვრა იტალიაში, კათოლიკეც ვყოფილიყავი. იცი რა, სახარებაში ყოველ მეორე სტრიქონში წერია — შენს თავს მიხედე, შენს თავს უშველე! ჰოდა, რატომ უნდა გამოვიძიო, ვინ არის მართალი და ვინ არა? იყო დრო, უეკლესიო მორწმუნეც ვიყავი, ახლა მამა ლევანთან დავდივარ და ასე მირჩევნია, მაგრამ ისეც არ ვიყავი ცუდად: ღმერთის მჯეროდა, პატიოსნების, მოკლედ, ბევრი კარგი რამის მჯეროდა და მჯერა.

— ამბობ, რომ საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა გჭირდება. რისთვის, რა არის ამ ეტაპზე შენი მამოძრავებელი ამოცანები?

— პირველი — დარწმუნებული ვარ, ისეთი დრო დადგა, როდესაც ქართველს ყველაზე მაღალი შესაძლებლობები აქვს მსოფლიო მასშტაბით. ძალის ეკონომიკა შემცირდა, ტვინის ეკონომიკა გაიზარდა, ნავთობი გაიაფდა, ტვინი გაძვირდა. ამიტომ მგონია, რომ ახლა ნიჭიერ ტიპებს საწვავი რომ ჩაუსხა, შესაძლებელი იქნება გლობალური სიკეთეები გავიდეს ამ ქვეყნიდან ჯართის ნაცვლად.

იხ. 7 გვ.

„დღეს ჩვენ გვჭირდება ევროკავშირის თანადგომა"

საქართველოს **პრეზიდენტი ევროპის პარლამენტის პრეზიდენტს მარტინ შულცს შეხვდა.**

შეხვედრისას მხარეებმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის დღის წესრიგი მიმოიხილეს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, საქართველო აფასებს ევროპარლამენტის და პირადად, მარტინ შულცის მხარდაჭერას ევროპული არჩევანის და პერსპექტივის მიმართ.

„საქართველოსათვის ევროკავშირის მხარდაჭერა და თანადგომა მნიშვნელოვანი იყო, რათა გადამწყვეტი რეფორმები შეგვესრულებინა ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგში. გამოვთქვამთ იმედს, რომ ევროპარლამენტი კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ევროკავშირში პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების პროცესში", — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

„დღეს ჩვენ გვჭირდება ევროკავშირის თანადგომა, რათა ვიზალიბერალიზაციის პროცესი, რომელიც სამი წლის წინათ დავიწყეთ, წარმატებით დასრულდეს. მადლიერი ვიქნებით თუ თქვენ პირადად ჩაერთვებით, რათა ხელი შეუწყოთ სწორ და სწრაფ განხილვებს ევროპარლამენტში", — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეხვედრა სამუშაო საუზმეზე

საქართველოს **პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ელმარ ბროკს სამუშაო საუზმეზე შეხვდა.**

მხარეებმა ევროპარლამენტში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე გამართული დებატები შეაფასეს და აღინიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი სტრასბურგში დროული და მნიშვნელოვანია.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, საქართველოს ვიზალიბერალიზაციის პროცესში ყველა ვალდებულება და მოთხოვნა შესრულებული აქვს და მნიშვნელოვანია, რომ შემდგომი პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს.

გიორგი მარგველაშვილმა ელმარ ბროკთან დემოკრატიულ რეფორმებზე და მის განვითარებაზე, ასევე, შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე და წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრა.

ბრალდებულთან დაკავშირებულ დანაშაულზე პასუხისმგებლობის სანდაზმულობის ვადა უქმდება

ცვლილებების **შეტანა „სისხლის სამართლის კოდექსში" იგეგმება, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა.**

კერძოდ, პროექტით ახლებურად განისაზღვრება ძალადობის მუხლი — ცემა ძალადობის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრება და შესაბამისად, დაგეგმილია „სისხლის სამართლის კოდექსიდან" იმ მუხლის ამოღება, რომელიც ცემისთვის ცალკე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, წამების დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალს ისეთი გარემოებები ემატება, როგორიცაა — წამება სამედიცინო მანიპულაციების, მედიკამენტების, ან სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე ანგარებით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის აღიარების იძულების მიზნით ან მესამე პირის წინააღმდეგ ცრუ დასმენის მიზნით.

კანონპროექტით კონკრეტდება „წამების მუქარა" — წამების მუქარა დანაშაულად ჩაითვლება მაშინ, თუ ის არის რეალური და იმწუთიერი.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სასჯელის ზომის გამკაცრებას დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისათვის. მოქმედი ნორმით, პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით — ვადით 2-დან 5-წლამდე, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 6-წლამდე. კანონპროექტით ეს ქმედებები დასჯადია თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3-დან 7-წლამდე და თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10-წლამდე.

განათლების მინისტრი: მივილე დავალება სტუდენტებისგან, რომ ძალიან ოპერატიულ რეჟიმში გადავწყვიტო საკითხები

განათლების **მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა „აუდიტორია 115-თან" შეხვედრის დასრულების შემდეგ აცხადებს, რომ მიიღო დავალება სტუდენტებისგან — ოპერატიულ რეჟიმში გადაწყვიტოს მთავრობაში ყველა საკითხი.**

„ეს არის ხალხი, რომელსაც უნდა უნივერსიტეტის განვითარება, წინსვლა და უნდა რომ არა მარტო ეს დაწესებულება, არამედ ყველა უმაღლესი სასწავლებელი იყოს მოწინავე. ცალსახად ამ პოზიციას ვიზიარებთ მეც და სამინისტროც, რომ უნივერსიტეტი უნდა განვითარდეს და აჰყვეს დროს. გუშინდელი მეთოდებით მუშაობა შეუძლებელია.

ისინი არ ითხოვენ თვითმმართველობის გაუქმებას, ისინი ითხოვენ, რომ ახლანდელი ფორმა და სისტემა თვითმმართველობისა შეიცვალოს პროგრესული და გამჭვირვალე სისტემით. ის, რომ სტუდენტი უნდა იღებდეს მონაწილეობას სასწავლებლის მართვაში", — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალებს კიდევ ერთხელ ჩამოსადა ნიღაბი, მაგრამ გაიგებს ამას „ცრუსთავი-2“-ისგან მონამლულ-მოშხამული ხალხი?

ამერიდან, ალბათ, ყოველთვის გაუჭირდება ბიძინა ივანიშვილს ისე ცხოვრება, როგორც ადრე და როგორც სურდა, ვინაიდან ის და მისი ცხოვრება მარად დარჩება ქართველი საზოგადოებისთვის საინტერესო ფენომენად. თვითონ კი მიაჩნია, რომ ოქტომბრის არჩევნები მისცემს იმის საშუალებას, გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა მოქალაქედ, რომელსაც რაღაც დოზით გავლენა აქვს პოლიტიკურ სპექტრზე, მაგრამ ფაქტია, რომ ის ვერასოდეს იქნება „თავისუფალი“. ამის შესახებ მან გუშინდელ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. „თუ არჩევნებში ვნახე, რომ ჩემი აღარ სჯერათ, თქვენც დაგემშვიდობებით და საზოგადოებასაც და დავუბრუნდები ცხოვრებას ჩემი სურვილისამებრ, როგორც მსურდა და სადაც ვიყავი“.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ პარტიის შიდა კვლევების მიხედვით „ქართული ოცნების“ რეიტინგი 30-პროცენტზე ქვევით არასოდეს დაწეულა და ეს აძლევს იმის საფუძველს, ივარაუდოს, რომ მომავალ პარლამენტში პარტია სულ მცირე 95 დეპუტატით მაინც იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება ნაციონალების რეიტინგს, მისი თქმით, ამ პარტიას ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება...

პროგნოზი ერთობ ოპტიმისტურია! რადგან ნაციონალები ასე თუ ისე, ჯერ-ჯერობით, იმ ნიშნულზე თამაშობენ, რომ ბარიერის გადალახვა წესით, არ უნდა გაუჭირდეთ, ხოლო რაც შეეხება მათ რუპორ „რუსთავი-2“-ს, ამ ტელევიზიის გავლენა საზოგადოების ზომბირების პროცესში ისევ მაღალია. ნაციონალური სააგიტაციო მანქანა „კარგად“ მუშაობს. ამის შესახებ ყოფილმა პრემიერმაც მიანიშნა: **„ჩანს ხიფათი, რომ ნაციონალური მოძრაობის უკან შემობრუნება დაგვემუქროს. მათგან მართული მედია საზოგადოებას მაქსიმალურად აბნევს, ხელისუფლებას კი სხვა ბერკეტების გამოყენების უფლება არა აქვს, ვერც იყენებს და არც იყენებს“**. ასეთ პირობებში ნამდვილად გაუჭირდება მმართველ გუნდს, მიიღოს იმის გარანტია, რომ მის გაკეთებულ საქმეებს საზოგადოება სწორად და ლოგიკურად აღიქვამს და რომ არჩევნებზე ამის შესაბამის შედეგებს დადებს.

ბიძინა ივანიშვილმა იმის დასამტკიცებლად, რომ მას „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებულ სამართლებრივ მოვლენებთან კავშირი არა აქვს, ცოტა არ იყოს უცნაური და საშიში პირობა დადო, რომელიც, ბუნებრივია, ნამდვილად არ შემოუტრიალდება კარგად არც მმართველ გუნდს და არც თავად ბიძინა ივანიშვილს. **„მე პირადად გარანტად დავუდგებოდი ხალვაშს თუ დვალს და ვთხოვდი, ფინანსურად თუ რამე ზარალს ნახავდნენ, პირადად ავანაზღაურებდი, თუკი სასამართლო მათ სასარგებლოდ დასრულდება, არ შეეხონ გვარამიას და არ შეეხონ მენეჯმენტს. სავარაუდოდ, ჩემგან მოითხოვონ, რაც უნდათ, ოღონდ, ეს სალაპარაკო არ დაგიტოვონ. „რუსთავი-2“ საუკეთესი მაგალითია იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვება მოახერხოს!“**

ჩვენი აზრით, არც ასე მარტივად არის საქმე, მით უფრო მაშინ, როდესაც ოთხი წლის მანძილზე ნებისმიერი ხელისუფლება რეიტინგს მეტ-ნაკლებად ისედაც კარგავს. მართალია, ბიძინა ივანიშვილი ამას დასავლელთა ხათრით კი გააკეთებს, მაგრამ საზოგადოება ამის არსს ვერა და ვერ ჩაწვდება. **„ის, რომ არჩევნების დაწყებამდე დარჩენილია 3-4 თვე და შეიძლება შეიცვალოს ტელევიზიის მენეჯმენტი, სასურველი არ არის, რამეთუ, უპირველესად, ამერიკასა და ევროპაში ამას ვერავინ სწორად ვერ გაიგებს“,** — ამბობს ივანიშვილი. თუნდაც ეს სიტყვები საკმარისია დასავლეთისთვის და კარგი გზავნილია. რაც შეეხება შიდა პროცესებს, ნაციონალებთან ამგვარი თამაში შეუძლებელია, ამდენად ყოფილმა პრემიერმა საჭიროა, უფრო პრაგმატულად შეაფასოს სააკაშვილის გუნდის შესაძლებლობები. **„შევამჩნიე, როგორ მოსწონდა ბოკერიას, როცა ფეხზე წამოდგა, რომ ეს შედეგი მიიღო“,** — აღნიშნა ივანიშვილმა კორცხელის ინციდენტზე საუბრისას. თუკი კარგად გავისიგრძეგანებთ, კიდევ რაზე არიან წამსვლელები ნაციონალები, არც ამერიკის ელჩის იან კელის დაანონსებული სცენარი — მასობრივი არეულობის მოწყობის შესახებ, გამორიცხული არ არის. ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან კარგად დაგეგმილი პროვოკაცია. და რა იყო შედეგი? ისევ ივანიშვილის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ: **„კორცხელში მთავრობამ წააგო არჩევნები. ამომრჩეველმა არ გაიგო და ვერ გაიგო. საზოგადოებამ ნაცვლად იმისა, რომ სწორად შეეფასებინა, ამისთვის მთავრობა დასაჯა“**.

დიახ! თუ ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ დღეს საზოგადოება გაცილებით თავისუფალია, ვიდრე ოდესმე, ხოლო მთავრობა დემოკრატიული ისე, როგორც არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ მსგავსი ჩავარდნები!!!

* * *

ყოფილი პრემიერი მოქმედი პრემიერით აღფროვანებულია, და არც წინამორბედით არის უკმაყოფილო, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ვითარება რთულია. **„რთულია, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც ოთხი წლის განმავლობაში შეიძლებოდა. ყველაზე დიდი პრობლემა და გამოწვევა სწორედ ეკონომიკა გახლავთ ჩვენი ქვეყნისთვის. დემოკრატიული ღირებულებები შეიძლება შევადაროთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებსაც კი, ხოლო ეკონომიკით დაახლოებით ექვსჯერ და უფრო მეტადაც ჩამოვრჩებით. შესაბამისად, ცდუნებაც დიდია, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებას დავაბრალოთ, რომ მან ვერ შეძლო და პრინციპულად ვერ მოახერხა პრობლემის გადაწყვეტა, რაც თეორიულად შეუძლებელია. დაახლოებით ათი-თხუთმეტი წელიწადი იქნება საჭირო, თუ ჩვენ მოვახერხებთ, ვიქნებით სტაბილურები, ყველა ღირებულებებს დავიცავთ და სწორი მიმართულებით წავალთ, შეგვიძლია, რეალურად ჩავდგეთ განვითარებული ქვეყნების რიგში“,** — ასეთი ოპტიმისტურია ივანიშვილის ზოგადი დასკვნა საქართველოსთან დაკავშირებით. ათი-თხუთმეტი წელიწადი ოთხი-ხუთი საარჩევნო პერიოდია, რომელსაც საზოგადოება ყოველ ჯერზე არაერთგვაროვნად ხვდება. ხალხი უფრო მეტს ითხოვს ხოლმე, ვიდრე ხელისუფლებას ხელეწიფება, ამიტომაც არის საჭირო გეგმაზომიერი დამოკიდებულება საზოგადო აზრის მიმართ, საჭიროა პიარი, რომელიც დღევანდელ მმართველ გუნდს თითქმის არ გააჩნია, ან საერთოდ არ იყენებს.

გაჰყევით კვირიკაშვილის გუნდს! — მოგვიწოდებს ექსპრემიერი, მაგრამ ამ ოთხ წელიწადში ერთხელ უკვე გამოცდილი გუნდისთვის ნდობის მანდატის ასე ხელის მოსმით კვლავ მინიჭება, ბუნებრივია, ამომრჩეველს გაუჭირდება. მხოლოდ ის, რომ **„მთავრობის მეთაურს არავითარი პირადული არ ამოძრავებს და უნდა, საკუთარ ხალხს ემსახუროს“,** მყარი არგუმენტი არ არის... მთავარია, გუნდი, მის გარშემო თავმოყრილი მთავრობა, რომელიც ყველანაირ პასუხისმგებლობას აიღებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. მით უფრო, თუ ივანიშვილის კომენტარებით ვიმსჯელებთ, უამრავი კონკრეტული პრობლემა არის. მაგალითად, პრობლემაა რეგიონებში: **„გამგებლებს კვალიფიკაცია აკლიათ, მართვის გამოცდილება არა აქვთ და არ იციან ეკონომიკა!“**, — ეს არ არის უბრალო გაიგებს ამას „ცრუსთავი-2“-ისგან მონამლულ-მოშხამული ხალხი? ნაცხადი, ვინაიდან, თვითმმართველობებსა და მუნიციპალიტეტებში „ქართულ ოცნებასაც“ და მათ შორის, ბიძინა ივანიშვილს ხალხი სწორედ გამგებლების ნამოქმედარით სჯის. **„სანიკიძე არ იყო ცუდი მინისტრი, მაგრამ უკეთესის ძიების პროცესში პრემიერმა ახალი მოიყვანა“,** — ამბობს ივანიშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ განათლებას არ ჰყავდა კარგი მინისტრი, რისი ფუფუნების უფლებაც ჩვენნაირ ქვეყანას არა აქვს.

„სოფლის მეურნეობა ვერ იქნება ეკონომიკის ორთქლმავალი, ასეთი ქვეყანა განვითარებული ქვეყნების რიგში ვერ ჩადგება“, — ასეთია ექსპრემიერის არგუმენტი. ამ დროს კი ვნახეთ, როგორ ჩაყარა მილიონები მთავრობამ „მიწაში“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, როგორი ფუჭი აღმოჩნდა ეს ძალისხმევა და ახლა იმის ძიებაში ვართ, საით და როგორ გაიფანტა ეს მილიონები.

ივანიშვილი უკმაყოფილოა საკონსტიტუციო კომისიის მუშაობით; უკმაყოფილოა საზოგადოება „20/30“ მუშაობით, უკმაყოფილოა პრეზიდენტის მუშაობით. **„გიორგი მარგველაშვილი საკუთარი განცხადებებით ხშირად ასხამს წყალს ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე, მაგრამ, არა მგონია, რომ ეს მათი კაცი იყოს, ის მათთვისაც არ არის დიდად სასარგებლო“,** — აღნიშნა ივანიშვილმა სრული გულწრფელობით.

თუნდაც, მოსამართლე მურუსიძის თემა, რომელსაც ერთპიროვნულად მიეწერა ნაციონალების ხელისუფლების 9-წლიანი უსამართლობის ლოგო. ექსპრემიერის თქმით, ლევან მურუსიძის გარდა, სხვა ბევრი მოსამართლე იყო საკაშვილის ხელისუფლების მძევალი, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის „მონსტრად“ წარმოჩენა ისევ და ისევ ნაციონალების მიერ არის წამოწეული.

მოკლედ, როდესაც ობიექტური რეალობა ისედაც ქმნის სირთულეებს ქვეყანაში, ამავე დროს, როდესაც ასეთი უსამართლო და ჩასაფრებული ოპოზიცია ისევ მყარად ბოგინობს ნაციონალების სახით და რაც მთავარია, მართავს ტელევიზიას, რომელსაც შესწევს ძალა, მართოს საზოგადოებრივი აზრი, „ქართულ ოცნებას“ მართლაც ურთულესი ოთხი თვე ბეწვის ხიდზე აქვს გასავლელი. ბიძინა ივანიშვილი, ისევ ადამიანურად, თუნდაც მოქალაქეობრივად, მოწოდების სიმაღლეზეა. აპირებს „კარდაკარ“ დაიაროს საქართველო, ჩავიდეს რეგიონებში, შეხვდეს საზოგადოებას და აუხსნას ხალხს, რა ნაკლი და რა ღირსება აქვს მმართველ ძალას, რატომ შეიძლება კიდევ ერთხელ მისცენ „ქართულ ოცნებას“ ნდობის მანდატი...

რა შეიძლება მოსთხოვო მეცენატს ამაზე მეტი?!.

ახლა ჯერი ისევ საქართველოს გონიერ საზოგადოებაზეა.

თეა მოსია

SOS: სანამ სოხუმ-ცხინვალის თემაც არ დახურულა...

ᲐᲛᲐᲡ წინათ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთს სტუმრობდა.

რუსეთის პირველი პირის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, მისი თვითმფრინავი საბერძნეთის არმიის ავიაგამანადგურებლების საპატიო ესკორტით მიფრინავდა ელადის საჰაერო სივრცეში, ხმელეთზე დაშვებისას საპატიო ყარაული და ორივე ქვეყნის ჰიმნები, თავისთავად...

ეს ისე, ცნობისთვის – მე პირველ რიგში ვლადიმერ პუტინის მიერ ათენში გაკეთებულ იმ განცხადებებზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოსაც ეხება.

კერძოდ, რუმინეთში ნატოს მიერ ე.წ. „პრო“ სისტემების განთავსების ფაქტის კომენტირებისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ აღნიშნული სისტემები რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება და ამიტომ იძულებული ვართ საპასუხო ზომებს მივმართოთო – რუმინეთმა დღემდე არ იცოდა, რას ნიშნავს რუსული რაკეტების მიზანქვეშ ცხოვრება. ჰოდა, რას ვიზამთ, ამის გემოსაც გაიგებენ ახლო მომავალში, იძულებულები ვიქნებით რუსული რაკეტები რუმინეთის ტერიტორიას დავუმიზნოთო – განაცხადა პუტინმა!..

იგივე განაცხადა პოლონეთის მიმართაც – დავაკვირდებით და როდესაც პოლონეთში დავინახავთ ნატოს რაკეტებს, ვარშავასაც ადეკვატურად ვუპასუხებთ!..

თუმცა, როგორც იტყვიან, ეს მხოლოდ ჟურნალი ყოფილა და კინო მაშინ ვნახეთ, როდესაც ყირიმის თაობაზე დაუსვეს კითხვა **– ჩვენ ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დავხურეთ და ამაზე საუბარს არავისთან და არასდროს აღარ ვაპირებთ! – ესეც ციტირების გარეშე, მაგრამ მისთვის ჩვეული სუსხიანი ლაკონურობით, სწორედ ეს განაცხადა ვლადიმერ პუტინმა!**

ვიზიტის მეორე დღეს, ვლადიმერ პუტინი ათონის მთის სამონასტრო კომპლექსს ეწვია, სადაც ერთ-ერთ ტაძარში ათონელმა ბერებმა ვლადიმერ პუტინი იმ ნიშაში დააყენეს, სადაც საუკუნეების წინ მხოლოდ ბიზანტიის კეისრები იდგნენ ღვთისმსახურებისას – ვფიქრობ, ეს სიმბოლური აქტი იმის აღიარება იყო, რომ თუ ათონის წმინდა სავანეა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის უპირველესი იდეოლოგიური კანონმდებელი (თუ შეიძლება ასე ითქვას), მას შემდეგ რაც კონსტანტინოპოლი ველურმა სელჩუკებმა დაამხეს, მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაა უმტკიცესი ბურჯი საქრისტიანოსი, ხოლო რუსეთის ხელმწიფენი იყვნენ და დღესაც არიან (ვლადიმერ პუტინი) მახვილით ხელში მსოფლიოში მართლმადიდებელი სარწმუნოების უპირველესი დამცველნი!

რუსეთი მესამე რომი, მეოთხე არ იქნება – საუკუნეთა მანძილზე იდიომად ქცეული ცნობილი სენტენციაა...

ვფიქრობ, რომ შეგნებული მკითხველი მიმიხვდა, თუ საით მიმყავს საუბარი და მრავალწერტილის ნაცვლად იქნებ წერტილის დასმა უფრო უპრიანი ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ნატოს, ევროპა-ამერიკის ქიმერის წნეხის ქვეშ მყოფი ქვეყნებიც მრავლად არიან და თხრობას პირველ რიგში მათ საყურადღებოდ განვაგრძობ ქვემოთ...

რას ნიშნავს ჩვენთვის, რუმინეთ-პოლონეთის მიმართ გაკეთებული პუტინის ეს აშკარად მუქარის შემცველი განცხადებები?

რას და ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს: „კოკავ შენ გეუბნები და, ლიტრავ, შენ გაიგონეო!“...

რუსეთს ვერ შევაშინებთ 26 მაისს რუსთაველზე გამოჩენილი ამერიკული ბრედლი-აბრაჰამსებით და თუ აუხდა თინა ხიდაშელის ნანატრი და რუმინეთის მსგავსად საქართველოშიც განალაგა ნატომ ე.წ. „პრო“, აი მაშინ მართლაც „პროსკენ“, ოღონდ არა აშშ-ნატოურის, არამედ ქართული შინაარსის მქონე „პროსკენ“ წავა ჩვენი საქმე და იქით, რუსეთის ტერიტორიიდან ისკანდერების სამიზნედ ვიქცევით და აქეთ, თბილისიდან 40 კილომეტრში ხომ დგანან და დგანან რუსული ტანკები?..

რაც შეეხება ყირიმის თემას საქართველოსთან მიმართებაში, ერთ კითხვას დავსვამ:

რატომ არ იერთებს ოფიციალურად რუსეთი 2008 წელს მისგანვე დამოუკიდებელ სახალმწიფოებად აღიარებულ სოხუმ-ცხინვალის რეგიონებს, მიუხედავად ამ რეგიონებში ჩატარებული არა ერთი რეფერენდუმ-პლებისციტებისა?

ყირიმიც ხომ იქ მცხოვრები ხალხის ნებაზე დაყრდნობით სამუდამოდ მიერთა მოსკოვმა, თანაც იმდენად სამუდამოდ, რომ არავისთან აპირებენ ყირიმის დაბრუნებაზე მსჯელობასაც კი?

რუსეთის სისუსტეში დარწმუნებულ და მის დაშლაზე მეოცნებე უტოპისტ ნეოლიბერალებს ერთი პასუხი აქვთ – **რუსეთს ზედმეტი თავის ტკივილი არ უნდა!**

ნუთუ უკრაინის, სირიის, დაფლეთილი საქართველოს მაგალითები იმაზე არ მეტყველებენ, რომ რუსეთს არანაირი შაკიკების არ ეშინია?

იგივე ყირიმის მიერთების გამო დაწესებულმა სანქციებმა, რომლებმაც მართალია, ავნეს რუსეთის ეკონომიკას, მაგრამ აშშ-ის მთავარი იმედი, რომ ძეხვის და არყის მოთხოვნით წითელ მოედანზე მილიონები გავიდოდნენ და დაამხობდნენ პუტინის ხელისუფლებას, არ გამართლდა!

პირიქით, ყირიმის დაბრუნებამ იმხელა პატრიოტული აღტყინება გამოიწვია, იმდენად დაირაზმა პუტინის ირგვლივ რუსეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, რომ რუსეთის ე.წ. „ბალტნი“, ნეოლიბერალური ოპოზიცია ხმის ამოღებას ვერ ბედავს და პუტინს, როგორც ვარაუდობენ, მეორე 6-წლიანი ვადითაც გარანტირებული აქვს კრემლის კაბინეტში ყოფნა!

ერთი სიტყვით, თითქმის უეჭველია ვარაუდი, რომ რუსეთი იმიტომ აყოვნებს სოხუმ-ცხინვალის მიერთებას, რომ ჩვენთან, ქართველებთან სალაპარაკო, გნებავთ, სავაჭრო თემა დაიტოვოს და შაკიკის შიში არაფერ შუაშია!

სინამდვილეში რით არის გამოწვეული ეს ამბავი, უმადური ქართველების მიმართ კეთილ განწყობითა თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მარტივი პრაგმატიზმით, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია!

მთავარია, უნდა გვესმოდეს, რომ ეს „დაყოვნება“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება – თუ მომავალი 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად საპარლამენტო უმრავლესობად ისევ რუსოფობი ნეოლიბერალები მოგვევლინნენ და რუსეთთან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავჯდებით, აი მაშინ ვნახავთ ქართველები უმძაფრესი შაკიკის თავის ტკივილებსაც და არა მხოლოდ თავისას – ვლადიმერ პუტინი სოხუმ-ცხინვალის თემასაც ერთხელ და სამუდამოდ დახურულად გამოაცხადებს და მერე ვიაროთ რუსთაველზე და ნა-ტო! ნა-ტო! ვიძახოთ!

სულ ახლახან, ვითომ ჯიბეში რომ გვედო, იმ ვიზალიბერალიზაციამაც, როგორც კახეთში იტყვიან, „ჩაილულის წყალი ხომ არ დალია“?..

იგივე გაწბილება და ეს მერამდენედ, ნატოს ვარშავის სამიტისგანაც ხომ არ გველის – ჯერ მაპზე უკეთესი, შემდეგ ნატოს ასპირანტის „საპატიო“ ტიტული მოგვანიჭეს და ვინც საბჭოთა განათლების სისტემას ვიცნობთ, ვიცით, რომ ასპირანტობას დოცენტობა მოსდევს და როდესაც გაზეთის ეს ნომერი გამოვა, ვინძლო ვარშავაში დოცენტის ხარისხიც „გავიკრათ“ და ახლა ამას შემოგვასაღებენ ჩვენი „ზაპადნიკები“, როგორც ღვთის წყალობას და ვიაროთ და ვიძახოთ, როგორც ერთ რუსულ ფილმშია – „დაცენტ, აი დაცენტ, ნატო რედისკა, ნი ხოროში ჩელოვეკ, პასტ პორვუ“ და ა.შ. გავერთობით მაინც...

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინის „ბიზანტიის კეისართა ტახტზე აღზევებას“, არც ეს არის შემთხვევითი – ამ ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება იდეა, მსოფლიოს მართლმადიდებელ სახელმწიფოთა რაიმე სახის კავშირის შექმნა და ხომ არ იყო ზემორე ხსენებული სიმბოლიკა ღვთიური მინიშნება იმისა, რომ ასეთი კავშირის მეთაური რუსეთის უდიდესი, უმდიდრესი ეკლესია და ბირთვული პოტენციალის გამო ბეჭდაუდებელი რუსეთის საერო ხელისუფლება უნდა იყოს?

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არაფერი ვთქვათ თურქეთისთვის ევროპის ვიზალიბერალიზაცის უარზე, გერმანიის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებით, წონასწორობა დაკარგა თურქეთმა – ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ევროპაზე შურისძიებისთვის თურქეთი საკუთარი ტერიტორიიდან ასობით ათას მუსლიმან ლტოლვილებს, რომელთა შორის მრავალი ტერორისტია, ევროპისაკენ გაუხსნის გზას და ამ გზის ერთ-ერთი მარშრუტი, რომ საქართველოს გავლითაც იქნება, არც ეს არის საიდუმლო!

და ვინ დაგვიცავს ამ საფრთხიდან – ნატო? თუ ისევ რუსეთისთვის მოგვიწევს დახმარების თხოვნა? რუსეთისთვის, რომელიც დღეს ჩვენი ისტორიული მტრის, თურქეთის შემაკავებელი ზესახელმწიფოა!

სერიოზულად დავფიქრდეთ ამაზე!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

◎ ᲨᲔᲛᲝᲚᲐᲬᲣᲜᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲓᲐᲜ

ᲰᲐᲜᲡ-ᲞᲔᲢᲔᲠ ᲣᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲪ ᲕᲘᲖᲐᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ



„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ გერმანიაში სულ უფრო მეტი ბანდიტები შემოდიან, თუმცა, ამის მიუხედავად, ევროკავშირს სურს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი დააწესოს. **გერმანიაში კი ამ სავარაუდო გადაწყვეტილებისადმი წინააღმდეგობა იზრდება“, – ასე იწყება გაზეთ „ბილდ“-ში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ვიზალიბერალიზებასთან დაკავშირებული სიტუაციაა მიმოხილული და გერმანელი ექსპერტების კომენტარებია გადმოცემული (ავტორი – ფრანც ზოლმს-ლაუბახი).**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

როგორც გერმანელი ექსპერტები ამბობენ, ევროკომისიისაგან განსხვავებით, უპირველეს ყოვლისა, **გერმანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პრობლემას, რომელსაც ქვეყანას ქართველებს შორის დამნაშავეობის მაღალი დონე უქმნის.** ექსპერტ არმინ შუსტერის აზრით (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი): **„ქართველი იმიგრანტები, სხვებისაგან განსხვავებით, ძალიან ღრმად არიან ჩაბმულნი ორგანიზებულ დამნაშავეობაში. ახლა რომ ჩვენ უვიზო რეჟიმი შემოვიღოთ, კრიმინალური სიტუაცია კიდევ უფრო გაურესდება“.** არმინ შუსტერი პოლიციის ოფიცერია და მიიჩნევს, რომ ქართველი ბანდიტების შეჩერება და გერმანიაში ბინების ძარცვის რაოდენობის დაკლება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.

პუბლიკაციის ავტორი სარგებლობს ფედერალური სისხლის სამართლის პოლიციის **სტატისტიკური მონაცემებით, რომელთა თანახმად, გასულ 2015 წელს გერმანიაში მომხდარი ძარცვის 167 ათასი ფაქტიდან ყველაზე მეტი „ქართულმა მაფიოზურმა დაჯგუფებების წევრებმა“ ჩაიდინეს.** „ბილდის“ კორესპონდენტთან საუბარში პოლიციის წარმომადგენელი ანდრე შულცი ამბობს, რომ **„დამნაშავეთა უკან ქართული მაფიის მოქმედება იკვეთება, რომელიც გერმანიაში ქურდებს მიზანმიმართულად აგზავნის. აქ ჩამოსვლის შემდეგ ისინი თავშესაფრის მიღებას ითხოვენ და სანამ მათი თხოვნა იხილება (8-12 თვის განმავლობაში), ქურდობენ და დანაშაულს სჩადიან.** იგივე მოქმედებით არიან დაკავებულნი აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოსული პირებიც... გერმანია ქურდებისა და ბინის მძარცველებისათვის სამოთხის მსგავსი მიმზიდველი ქვეყანაა. ჩვენ ევროპის ყველაზე მდიდარი ქვეყანა ვართ და ეს ფაქტორი უცხოელ ქურდებზე მაგნიტივით მოქმედებს“.

ექსპერტი ჰანს-პეტერ ული (ქრისტიან-სოციალური კავშირი) თავის მსჯელობაში კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ **საქართველო ნატოში მიღების ღირსიც არ არის: „ამჟამად (საქართველოსთვის) უვიზო რეჟიმი და ნატოს წევრობა ნაადრევია. ვიზალიბერალიზება უკონტროლო მიგრაციის ზრდას გამოიწვევს, მომრავლდება თავშესაფრის მსურველთა რიცხვი, გაიზრდება დამნაშავეობის დონე, ნატოში მიღება კი რუსეთთან დაპირისპირებას გამოიწვევს“,** – ამბობს იგი.

სტატიის დასასრულ ავტორი ეხება ნატო-რუსეთის ურთიერთობასა და ვარშავის სამიტის მნიშვნელობას, რომლის დროსაც ალიანსი აღმოსავლეთ ევროპაში და ბალტიის ქვეყნებში განმტკიცებას გეგმავს: **„რუსეთი ამ პროექტს მწვავედ აკრიტიკებს და საკუთარი უშიშროების საფრთხედ აღიქვამს. მოსკოვი ნატო-საქართველოს ინტეგრაციასაც ამ კუთხით განიხილავს“,** – ნათქვამია სტატიაში.

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ:

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „Radio Voice of America“ ᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲗᲐᲜ.

— თუ შეიძლება, მოგვიყევით თბილისში გამართული თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის მთავარი აქცენტების შესახებ?

— ნატოს მომავალი სამიტი ვარშავაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამართული კონფერენციის მთავარი თემა იყო, უმთავრესი ყურადღება, ამ კონტექსტში, გამახვილდა საქართველოს ურთიერთობებზე ალიანსთან და თუ როდის გაწევრიანდება საქართველო ალიანსში.

— თქვენი შეფასებით, როგორია საქართველო-ნატოს ურთიერთობები, რამდენად მზად არის საქართველო ალიანსში გაწევრიანდეს?

— ჩემი შეფასებით, რომელსაც დამსწრე ამერიკელი მონაწილეები ეთანხმებოდნენ, ფაქტია, რომ საქართველომ ყველა პირობა შეასრულა პოლიტიკური თუ სამხედრო კუთხით ალიანსში გასაწევრიანებლად. როგორც დამსწრე მაღალი რანგის ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა შენიშნა, საქართველომ აღარაფერი უნდა დაუმტკიცოს ნატოს. საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა ავღანეთში, ნატოს მისიაში, ასევე კოსოვოში, სადაც ნატოს მისია იდგა და წარსულში, ერაყშიც, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ნატოს მისია არ იბრძოდა, იქ ნატოს ბევრმა პარტნიორმა გაგზავნა ჯარები. კონფერენციის პირველ დღეს, დაიხურა „ღირსეული პარტნიორის“ სამხედრო სწავლება, რაც ამერიკულ-ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სამხედრო წვრთნის პროგრამა იყო. ამის შემდეგ, ქართულ შენაერთს ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის დამადასტურებელი სერთიფიკატი გადაეცა, რაც მას ნატოს ყველა მისიაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

— რა იყო ამ სწავლების ყელაზე დიდი ღირებულება და მონაპოვარი? ასევე, რა განვითარებებს უნდა ველოდოთ მომავალში ამ კუთხით?

— ამ სწავლებების მთავარი ღირებულება ის სერტიფიცირების პროცესი გახლდათ, რომელიც მისი დასრულების შემდეგ შედგა. საქართველოს ნატოს არაერთ საბრძოლო მისიაში მიუღია მონაწილეობა, თუმცა, ბრძოლის ველზე პარტნიორის საბრძოლო უნარების შეფასება რთულია. ამ წვრთნებისას, კი ძალიან ბევრი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა ქართული შენაერთის სამოქმედო თავსებადობა ნატოს სტანდარტებთან, და ის, საბოლოო ჯამში, დამაკმაყოფილებლად, და ნატოსთან თავსებად დონედ შეფასდა.

— თქვენი ვარაუდით, რას მიიღებს საქართველო ნატოს მომავალი სამიტიდან?

— რთულია განსაზღვრო, რა მოხდება ვარშავის სამიტზე, თუმცა, მჯერა, რომ ნატოს წევრი ქვეყნები ინდივიდუალურად უნდა შეთანხმდნენ ახალი წევრის მიღებაზე. საქმე იმაშია, რომ საქართველოს გაწევრიანების გეგმა ნატოს ალიანსში 2008 წელს გამოცხადდა და ეს დღემდე ნატოს პოლიტიკად რჩება, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. თუმცა, ვფიქრობ, ახლა საქმე პოლიტიკური გადაწყვეტილების გამონახვაშია, და თუ როგორ აღასრულებს ალიანსი საკუთარ განცხადებას ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთან მიმართებაში.

— რა ბარიერია საქართველოში არსებული სეპარატისტული კონფლიქტები ნატოში გაწევრიანებისთვის?

— ამ თემაზეც იყო კონფერენციაზე საუბარი. თუმცა, თუ ჩვენ გადავხედავთ ნატოს ალიანსის გაფართოების სტრატეგიას, აქ ნათქვამი არსადაა, რომ არსებული ტერიტორიული კონფლიქტები ერთადერთი ფაქტორია ნატოში ახალი წევრების მისაღებად. პირიქით, აქ ნათქვამია, რომ თუ კონფლიქტები არსებობს, ისინი ეუთოს სტანდარტებით უნდა მოგვარდეს. მით უმეტეს, რომ პრეცედენტიც არსებობს, როცა 1955 წელს გერმანია ალიანსის წევრი გახდა მაშინ, როცა მისი ერთი მესამედი საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არასდროს უთქვამს უარი გერმანიის მთლიან ტერიტორიაზე. ამდენად, არსებული კონფლიქტები არ წარმოადგენს ნატოში გაწევრიანების ერთადერთ კრიტერიუმს.

> **რამდენად არის მზად, ნატოს ალიანსი რუსეთის რეაქციას გაუმკლავდეს, რომელიც აუცილებლად მოჰყვება უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას...**

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს როგორ შეაფასებდით?

— საქართველო შეეცადა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, უფრო მეტიც: გააკეთა ყველაფერი ურთიერთობების დასალაგებლად, და მცირედი წარმატებაც ჰქონდა. თუმცა, ახლა საქმე არა იმდენად ორმხრივი კავშირების აღდგენასა და წარმატებაშია, რამდენადაც იმაში, თუ რამდენად არის მზად, ნატოს ალიანსი რუსეთის რეაქციას გაუმკლავდეს, რომელიც აუცილებლად მოჰყვება უკრაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას.

„ᲜᲘᲣᲞᲠᲔᲡᲘ“

ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲖᲐᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲠᲔᲕᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესების წინააღმდეგ გამოდის და ამის მიზეზად „ქართველ კრიმინალებს“ ასახელებს, ქართული მხარე კი, ევროპელებს იმ რეალური მიზეზების დასახელებას სთხოვს, რის გამოც ქვეყნისთვის ვიზალიბერალიციის მინიჭების მიცემა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ვინაიდან, საქართველოსა და უკრაინის ვიზალიბერალიზაციის საკითხი ერთად განიხილება, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გააფრთხილა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი, უვიზო მიმოსვლას საქართველო მიიღებს, ხოლო უკრაინა — არა, მას ხელისუფლების შენარჩუნება და უკრაინაში პოლიტიკური პროცესების მართვა გაუჭირდება.

პეტრე პოროშენკოს გარდა, ანგელა მერკელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილიც დაუკავშირდა, სადაც საუბრის მთავარი თემა საქართველოს ევროპული ინტეგრაცია იყო.

პრემიერის ადმინისტრაციის ცნობით, პრემიერ-მინისტრმა საუბრისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით და დროულად დასრულების მნიშვნელობას.

გერმანიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენას უკრაინის ფაქტორი ახდენს, თუ მოსკოვის მოთხოვნები, ამის თქმა რთულია, თუმცა, ქართულ მხარეს გერმანიაში ოფიციალური ვიზიტები უკვე დაგეგმილი აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე და უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე გერმანიას უკვე ეწვივნენ. საპარლამენტო დელეგაციის შემდეგ, გერმანიას ესტუმრებიან: პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილი. აღნიშნული პირების შეხვედრების მთავარი თემა გერმანელების დარწმუნება იქნება იმაში, რომ საქართველომ, რომელმაც ყველა ნაკისრი ვალდებულება და დავალება შეასრულა, ვიზალიბერალიზაცია უნდა მიიღოს, კრიმინალის ნაწილში კი, ქვეყანა რეადმისიას შეასრულებს და ევროპელ სამართალდამცავებთან იმუშავებს.

ბუნდესტაგის დეპუტატის არმინ შუსტერის განცხადებას, რომ საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის დაწესება გერმანიაში კრიმინალის გაზრდას შეუწყობს ხელს, ქართველი დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველომ ყველა ვალდებულება შეასრულა და კრიმინალთან დაკავშირებით დათქმა არ ყოფილა. დეპუტატის თქმით, გერმანიას გარკვეული წუხილი აქვს, მაგრამ მათი არგუმენტი არადამაჯერებელია.

„საფრანგეთი და გერმანია ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ პარტიორებად რჩებიან, თუმცა, დღის წესრიგში არსებული საკითხი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უფრო სხვა ქვეყნების პრობლემაა. მათ ყველაზე ნაკლები პრეტენზია საქართველოს მიმართ აქვთ. კრიმინალს ეთნოსი და მოქალაქეობა არა აქვს, ის ყველგან არის. ამას სხვა ქვეყნის მოქალაქეები ჩადიან და სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ კრიმინალს გაუმკლავდეს. შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი გერმანიაში ხანგძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდა და ყველას შეხვდა. საქართველომ რეადმისია გააფართოვა და მზად ვართ, ევროპულ ქვეყნებთან აქტიურად ვითანამშრომლოთ. ისინი დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ეს ხალხი ჩვენი ქვეყნიდან არ იმართება“, — აცხადებს სესიაშვილი.

კანონმდებელის მტკიცებით, მანამდე არანაირი წინაპირობა არ ყოფილა, რომ თუ ეს საკითხი არ მოგვარდებოდა, საქართველოს უვიზო მიმოსვლას არ მისცემდნენ.

„მოუმზადებლები ვიყავით და ერთ დღეში, ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება, ეს სხვა რაღაცას უკავშირდებოდეს. გერმანიაში სამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და გერმანული დემოკრატიის კულტურა ძალიან კარგად არის ცნობილი. მათი პრინციპია, რომ არ შეიძლება, კონკრეტული ადამიანების მიერ ჩადენილი დანაშაული პირწონადი იყოს სხვა ადამიანების უფლებების შეზღუდვასთან“, — ამბობს დეპუტატი.

სესიაშვილი ყურადღებას უკრაინის ფაქტორზე ამახვილებს და ამბობს, რომ ყველასთვის ცნობილია, რომ უკრაინას თავისი ვალდებულებები შესრულებული არა აქვს. დეპუტატის შეფასებით, მიზეზია არა საქართველო, არამედ ის ქვეყნები, რომელთაც გარკვეული საკითხების გამო გერმანიასთან პრობლემები აქვთ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიც ფიქრობს, რომ მთავარ დაბრკოლებას ქმნის არა კრიმინალი, არამედ პოლიტკონიუნქტურა.

როგორც ვოლსკიმ განაცხადა, მწვავე დებატები უშუალოდ საქართველოს თემასთან დაკავშირებული არ არის.

— მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და პოლიტიკური კონიუნქტურა არის მიზეზი იმ მსჯელობისა, რაც მიმდინარეობს. ევროპულ სისტემაში ქართული კრიმინალი ერთ პროცენტზე დაბალია“, — აცხადებს ვოლსკი.

გერმანიის სისხლის სამართლის საქმეების ფედერალური უწყება კი იუწყება, რომ გასულ წელს, გერმანიაში ბინის ძარცვის 167 000 ფაქტი განხორციელდა, საიდანაც უმრავლესობა სწორედ ქართულმა მაფიამ ჩაიდინა.

გერმანია შეიცვლის თუ არა პოზიციას, ეს ცნობილი სავარაუდოდ, 10 ივნისს, ევროკავშირის ქვეყნების შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შეხვედრის შემდეგ გახდება.

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲛᲐᲜᲐᲒᲐᲫᲔ

ᲘᲐᲜ ᲙᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲮᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ?!

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ელჩი იან კელი „რუსთავი-2“-ის საკითხზე კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს: „როგორი პოლიფონიაც არის ქართულ სიმღერაში, ისეთივე უნდა იყოს მედიაპლურალიზმი, სადაც ყველას ექნება თავისი ხმის უფლება. საქართველოში ბევრი ხმა ისმის მედიაში, ამავეს ვერ ვიტყვით ამ რეგიონში სხვა ქვეყნებზე. პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება და აგრეთვე მათ ყველას უნდა ჰქონდეთ თანაბრად წვდომა მედიაზე და არ უნდა იყოს პოლიტიკური ჩარევა სასამართლო პროცესში “, — განაცხადა იან კელიმ.

რა შუაშია ქართული სიმღერა და სასამართლოში პოლიტიკური ჩარევა, ბატონო იან?! ვინ ჭამს ამას? „ცრუსთავი-2“ ანტიქართული ტელევიზიაა და არა რიგითი მედიაოჯახი. რით ვერ შეიგნეთ ეს?..

რომელი ქვეყნისა ხარ, „საქართველოს მთავრობავ?“

სათაურად **გამოტანილი კითხვა რიტორიკულია, რადგან გონიერმა საქართველომ იცის, რომ მას ეროვნული მთავრობა არ ჰყავს, ხოლო რომელი კონკრეტული ქვეყნის ინტერესების გამტარებელია იგი, ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. ისე კი, გონივრული ეჭვი მაქვს, რომ იგი ოკეანის გაღმიდან უნდა იმართებოდეს. აკი ხმამაღლა, მსოფლიოს გასაგონად თქვა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სპონსორმა ჯორჯ სოროსმა: პირველ წლებში სააკაშვილის ხელისუფლებას მე ვაფინანსებდიო. ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო, ნათქვამია და ამ მხრივ დღესაც არაფერი შეცვლილა. არავინ იფიქროს, რომ ოკეანისგაღმელი სოროსი თუ მოროსი „წინწყაროსა“ და „ოდოიას“, „ჩაკრულოსა“ და „ჩიტი-გვრიტისა“ სხვა მსგავსი სიმღერების დაკვეთაზე ფიქრობდეს. ის იმ მუსიკაში იხდის ფულს, რომელიც მისი ქვეყნის ხელისუფლებას ესურვილება.**

მუდამ სხვის დაკრულზე ცეკვა რომ ცუდად მთავრდება, ამის მიხვედრას დიდი სიბრძნე არ სჭირდება, მაგრამ სად არის ეს სიბრძნე? დარდისაგან ცნობამიხდილი ტარიელისა არ იყოს, მის გადასარჩენად მისულ ავთანდილს რომ ეუბნება: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა! ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა“. სწორედ ასეა ჩვენი საქმე, მაგრამ ტარიელისაგან განსხვავებით, საქართველო არ აღიარებს ამას. მისი საუკეთესო შვილები, ცალ-ცალკე და ჯგუფურად, თუმცა გამუდმებით ჩასძახიან ჩვენს სამშობლოს, აზრზე მოდიო, მაგრამ გულისხმაში ვერ ჩააგდეს, სიბრძნისკენ ვერ მიახედეს.

ვერც გაამტყუნებ ამ საბრალოს, რადგან მის გამოთაყვანებაზე ძალიან დიდ ფულს ხარჯავს ის ოკეანისგაღმელი „სპონსორი“. უღირს ამ დიდ ფულად ეს საქმე მას.

მის მიერ მოსყიდული ჩვენი თანამემამულენი ბევრნი და ფულიანები არიან, პატრიოტებს კი ფული არც ერთ დროში არ ჰქონიათ და არც ახლა აქვთ. ისინი თავიანთ სამშობლოზე კარგად არ ცხოვრობენ და იმიტომ! მარტო წრფელი გულითა და სუფთა სინდისით ბრძოლა უსინდისოებისა და ფულიანების წინააღმდეგ ერთობ ძნელია. ძნელია იმიტომაც, რომ უნამუსობა და ბოროტება ორგანიზებულია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობოებში, რომლებსაც „მოფერებით“ ენჯეოებს უწოდებენ, პატიოსნება და სიკეთე გათითოკაცებულია, რადგან დღემდე გვგონია, რომ სიმართლე სხვათა დაუხმარებლად გაიმარჯვებს და ბოროტებას უთუოდ სძლევს სიკეთე. ამიტომ არის, რომ უნამუსოები და ნამუსგაწყვეტილები ცალ-ცალკე კი არ გვიტევენ, არამედ პარტიულ და ე. წ. არასამთავრობო ბანდებად არიან გაერთიანებული და კბილებით იცავენ ერთმანეთს, მსხვერპლს კი მგლების ხროვასავით ესევიან. აგერ, ა, ჩვენი პარლამენტი ამის მაგალითი არ არის! ორმა კაცმა ამოიღო ხმა პარლამენტში ქვეყნის ინტერესების დასაცავად და ხომ ნახეთ, როგორ წაესიენ პარტიებად გაერთიანებული, უცხო ქვეყნისაგან მოსყიდულები. ერთი-ორი კაცია კიდევ პარლამენტში, რომლებიც, ალბათ, მოსყიდულები არ არიან, მაგრამ ენა აქვთ ჩაგდებული მუცელში პარლამენტარის კეთილდღეობის დაკარგვის შიშით. არა და ვაჟკაცები და პატრიოტები გვეგონენ ისინი!





ერთმა მანქურთმა, გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის სულიერმა, რომელსაც უცხოელმა პატრონებმა საქართველოს პრეზიდენტობა დაავალეს და „დემოკრატიის შუქურა“ დაარქვეს, ასე გაახმოვანა თავისი ოკეანისგაღმელი პატრონების დანაბარები: მე ქართველი ერის მენტალიტეტი უნდა შევცვალო და საქართველო ინგლისურენოვან ქვეყნად ვაქციოო. მეორე ტვინგამორეცხილმა და ასევე უკუღმართი ორიენტაციის მქონემ, რომელიც ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი ჩინოვნიკი, მერე კი ილიას უნივერსიტეტის რექტორი იყო, ასეთი ოცნება გაგვიმხილა: მე ვნატრობ იმ დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური იქნებაო.

ის კაცნი, მანქურთებად ჩვენი გადაქცევა რომ უნდათ, რათა მერე თავისუფლად იპარპაშონ ჩვენს მიწა-წყალზე და ვის წინააღმდეგაც უნდათ იმის წინააღმდეგ გამოგვიყენონ, არაფერს იშურებენ საამისოდ: ყიდულობენ ყველას და ყველაფერს. მე შენ გეტყვი და გასაყიდად გამზადებული სულიერი თუ უსულო საგნების მოძებნა გაუჭირდებათ! ასეთები წვრილფეხობაშიც ბლომად არის და მსხვილფეხობაშიც. აგერ, ახლახან, ერთი, რაღაც მანქანებით, ერთობ სახელგავარდნილი კაცი უყიდიათ, მესიაობა დაიბრალეო, — უთქვამთ და დათანხმებულა ისიც. ახლა დგას და იმ ხალხის დაბოლებას ცდილობს, რომელიც გუშინ გულშემატკივრობდა და ტაშს უკრავდა მას. მსოფლიო კაცი ეგონათ და ამაყობდნენ, თორემ მისი არც საქმე იცოდნენ და არც ის ესმოდათ, რას აკეთებდა. ახლა დამდგარა ის სახელგავარდნილი და ჩაგვჩიჩინებს იმ კაცის დანაბარებს, ვინც იგი რაღაცის ფასად იყიდა და „ნატოსა“ და ევროკავშირის სიყვარული დაავალა. რუსთველისა არ იყოს, „ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

მოდით, გათითოკაცებულო და მიკრო ჯგუფებად გაერთიანებულო პატრიოტებო, ერთად და ხმამაღლა ვთქვათ: **ვისაც ჩვენი მშობლიური ქართული ენის დაკნინება და უფუნქციოდ დატოვება უნდა, ვინც ჩვენ წარსულის დავიწყებას გვაიძულებს, ვინც კარის მეზობელს გვაძულებს და ოკეანისგაღმელს გვინიშნავს მეგობრად, ვისაც „ნატოში“ და ევროკავშირში საქართველოს შეთრევა სურს, ის მტერია ან იმ მტრის ოქროთი მოსყიდული მანქურთი და ტვინგამორეცხილი უბედური**. თქვენ ხომ კარგად იცით, ეს რომ ასეა!

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, მხდალი კაცის ნათქვამია ეს. ჩვენ გასაქცევი არ გვაქვს, რადგან „სხვა სამშობლო ამაზე მეტი, სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია!“

ერთმა მანქურთმა, გაურკვეველი წარმომავლობისა და ორიენტაციის სულიერმა, რომელსაც უცხოელმა პატრონებმა საქართველოს პრეზიდენტობა დაავალეს და „დემოკრატიის შუქურა“ დაარქვეს, ასე გაახმოვანა თავისი ოკეანისგაღმელი პატრონების დანაბარები: მე ქართველი ერის მენტალიტეტი უნდა შევცვალო და საქართველო ინგლისურენოვან ქვეყნად ვაქციოო. მეორე ტვინგამორეცხილმა და ასევე უკუღმართი ორიენტაციის მქონემ, რომელიც ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი ჩინოვნიკი, მერე კი ილიას უნივერსიტეტის რექტორი იყო, ასეთი ოცნება გაგვიმხილა: მე ვნატრობ იმ დროს, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ენა ინგლისური იქნებაო.

ჰო და, მარტო სარეკლამო წარწერებსა და აბრებზე რომ არ გაჩერდებოდნენ ჩვენი „განმანათლებლები“, ხომ უნდა გვეფიქრა ეს! არ გაგიკვირდეთ და მალე განცხადების დაწერასაც ინგლისურ ენაზე მოგვთხოვენ. ამის სიმპტომები არის და საბუთსაც ახლავე მოგართმევთ...

მეცნიერთა ერთი ჯგუფი კარგა ხანია, ვიბრძოდით (სიტყვით და კალმით, ცხადია!) პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენისათვის, რადგან მიგვაჩნია, რომ განათლების პრობლემების კვლევის ეროვნული ცენტრის გარეშე, ნორმალური სასკოლო სწავლება-აღზრდის სისტემის განვითარება შეუძლებელია. მხოლოდ ოკეანისგაღმიდან გამოგზავნილი რეკომენდაციებისა და მითითებების (ბრძანებების!) საფუძველზე ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა ვერ განვითარდება. ჩვენმა სკოლამ არ იცის ვის ზრდის, რადგან აღზრდის სისტემა სრულიად მოშალეს და არც აღზრდის კონცეფცია არსებობს: ტერმინი „აღზრდა“ საერთოდ გაქრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დოკუმენტებში.

სკოლა რომ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებაა და მისი სოციალური ფუნქციის სხვაგვარად გააზრება შეუძლებელი რომ არის, ეს ვერ გავაგებინეთ (უფრო სწორად, ვერ შევაგნებინეთ!) განათლების სამინისტროს ბოსებს. აღზრდა კი არა, განვითარებაა სკოლის ფუნქციაო, — გვეუბნებიან ისინი. აღზრდა და განვითარება სხვადასხვა მოვლენებია და მათი შინაარსის აღრევა სიკეთეს არ შეგვყრის-თქო, ჯიუტად ვიცავთ ჩვენს პოზიციას, მაგრამ უცოდინარ კაცებთან კამათს შედეგი არ მოაქვს.

განათლების მინისტრისადმი მიწერილ კოლექტიურ ღია და დახურულ წერილებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვიღას არ მივმართეთ: საზოგადოებასა და ორგანიზაციებს, საქართველოს პარლამენტსა და ყველა იმ დაწესებულებას, ვისაც ეს საქმე პირდაპირ თუ ირიბად ეხება. ამაოდ!

ბოლოს, პრემიერ-მინისტრს გავუგზავნეთ კოლექტიური წერილი. მთავრობის კანცელარიაში შეგვხვდნენ და მოგვისმინეს კიდეც. იმედი მოგვეცა, როგორც იქნა, ამ პრობლემით უმაღლესი რანგის ხელისუფლება დაინტერესდა და აწი მაინც არსებითად განიხილავენ მდგომარეობასო. არაფერი გეტკინოთ! როგორც აქამდე იქცეოდნენ სახელისუფლო ჩინოვნიკები, ახლაც ისევე მოიქცნენ: ჩვენი საჩივარი იმას გადაუგზავნეს განსახილველად, ვისაც ვუჩიოდით. პასუხიც სტანდარტული მივიღეთ, ისეთი, როგორსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვიგზავნიდა ხოლმე, ან ზეპირად გვეუბნებოდნენ უშუალოდ შეხვედრებისას. გახსოვთ, ალბათ, „შერეკილებში“ რომ იქცევა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი: ყველა პაციენტს, ჭკვიანია იგი თუ გიჟი, „აბი გლუკოზას“ რომ უნიშნავს. აგერ წარმოგიდგენთ მთავრობის კანცელარიიდან გამოგზავნილ დოკუმენტს და თქვენ თვითონ განსაჯეთ, ჩვენს მიერ დასმულ პრობლემებზეა გაცემული პასუხი, თუ „აბი გლუკოზაა“ მართლა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ADMINISTRATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

მის: ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. №1, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ბატონო ზურაბ,

თქვენს მიერ წარმოდგენილი 05.01.2016 წლის №14 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა და გამოითხოვა ინფორმაცია განათლების სამინისტროდან იმ საკითხებისა და პრობლემების შესახებ, რომლის თაობაზეც ვისაუბრეთ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში თქვენთან შეხვედრის დროს.

სამინისტროსგან ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად, როგორც ირკვევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თქვენ შეგხვდნენ მინისტრის მოადგილეები - ქალბატონი ლია გიგაური და ბატონი თამაზ მარსაგიშვილი; ასევე გეცნობათ, რომ სასწავლო გეგმის პროექტზე მუშაობდნენ პედაგოგები, განათლების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების და საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენლები. ხოლო რაც შეეხება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, ის ყოველწლიურად მასწავლებლებს სთავაზობს მათ პროფესიულ საჭიროებებზე მორგებულ კურსებს, როგორც ზოგადი პროფესიული უნარების მიმართულებით, ისე, საგნის სწავლების მეთოდიკაში. მოწოდებულ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია ის ფაქტი, რომ პროფესორებს გეცნობათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე იგეგმება განათლების სკოლების ჩამოყალიბება, რომლებიც ახალგაზრდა პედაგოგიური კადრების მომზადების ფუნქციასთან ერთად პედაგოგიური კადრების მომზადების ფუნქციას აიღებენ და ამ მიმართულებით ქმედითი და ეფექტური საქმიანობით ხელს შეუწყობენ განათლების სისტემის სრულყოფას. სამინისტროს აზრით, აღნიშნული პროცესის წარმართვა კი შეუძლებელია გამოცდილი მეცნიერების აქტიური ჩართულობის გარეშე. ეს უკანასკნელი იმედს გვიტოვებს, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართულნი იქნებით და ითანამშრომლებთ განათლების სამინისტროსთან, როგორც თქვენ, ასევე ყველა ის მეცნიერი, რომელიც კვალიფიციური და გათვითცნობიერებულია ამ სფეროში.

პატივისცემით,
ანა გვენეტაძე

სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი“.

ხელისუფლებისაგან მიღებული პასუხი ნამდვილად „აბი გლუკოზაა“, მაგრამ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მიღებული წერილის (პასუხის!) ბოლოს, სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსის ხელმოწერა კი ბევრ ინფორმაციასა და ფარულ გზავნილს შეიცავს.

ხელმოწერა, როგორც ხედავთ, არაქართულ ენაზეა შესრულებული (დიდი და გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ხელმოწერა ინგლისურია). ამით გვითხრეს, ჩვენ საქართველოს მთავრობა და არც მისი დღევანდელობა არ ვართ და არც მომავალი გვაინტერესებსო. თქვენ ის გირჩევნიათ, რომ დროზე ისწავლოთ ინგლისური, თორემ ხვალ არა მარტო წერილის ბოლოში გავაკეთებთ ინგლისურ ხელმოწერას, არამედ წერილის მთელ ტექსტსაც ინგლისურ ენაზე გამოგიგზავნით და მერე თქვენი საშინაო ენა — ქართული, რასაც გიშველით, იმასაც ნახავთო.

წერილის სათაურად გამოტანილი კითხვა რიტორიკულია, რადგან მეც და თქვენც კარგად ვიცით, ვისია „საქართველოს მთავრობა“.

ზურაბ ცუცქირიძე

ალექსანდრე ჯეჯელავა:

ინტელექტუალური ლაშქარი გვჭირდება!

— რაზეც არ უნდა ვლაპარაკობდეთ, ყველაფერს პოზიტიურ, ოპტიმისტურ ჭრილში ხედავ, მაინტერესებს, რისთვის გაკრიტიკებენ ყველაზე მეტად, რაში „გაფუჭდი“, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ?

— პირველი, მთავარი და მეგაშეცდომა ის იყო, რომ დაახლოებით ასე 30 წლის განმავლობაში მეგონა, რომ მე ვიყავი ჩემი წარმატების საფუძველი, რომ „ყველაფერს ჩემით მივაღწიე“. მე ვიყავი ნიჭიერი, მე ვისწავლე სხვებზე კარგად, მე ვიყავი მებრძოლი და გამოვჯანმრთელდი 2 წლის ასაკში — ეს არის ტყუილი, ტრაგიკული, სამარცხვინო ამპარტავნება, რომელიც არ შეიძლებოდა, ბევრ ადამიანს არ შეხებოდა. ვიღაცა მიზიარებდა თავის პრობლემას, მე კი ვეუბნებოდი: არა რა, შენა ხარ სუსტი, მაგას როგორ ვერ მიხვდი, ეგ როგორ ვერ გააკეთე, მეტი უნდა გესწავლა, მეტი უნდა გეშრომა, არადა სისულელე — ორი პროფესორი გყავდა სახლში და სამი აკადემიკოსი, მცხეთის 2 ნომერში დაიბადე, შევარდნაძის ბინიდან ორი სართულით ქვემოთ და სხვაზე მაგარი ხარ, არა?!

ძალის ეკონომიკა შემცირდა, ტვინის ეკონომიკა გაიზარდა, ნავთობი გაიაფდა, ტვინი გაძვირდა. ამიტომ მგონია, რომ ახლა ნიჭიერ ტიპებს საწვავი რომ ჩაუსხა, შესაძლებელი იქნება გლობალური სიკეთეები გავიდეს ამ ქვეყნიდან ჯართის ნაცვლად.

მეორე ასეთი გრძელვადიანი, სისტემური შეცდომა იყო, რომ მჯეროდა: ჯერ თავო და თავო! სოციალურ პასუხისმგებლობას ვაყენებდი პირადზე, ოჯახურზე უკან, ეს როგორ დამემართა, არ ვიცი, მაგრამ ასე იყო. რაღაც მომენტში კაპიტალისტზე მეტი კაპიტალისტი გავხდი — ვინც ღარიბია, სამართლიანადაა ღარიბი, ვინც მდიდარია — იმიტომ, რომ დაიმსახურა. მოკლედ, მგონი ამის გამო ძალიან ბევრი შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან, შემეძლო, ცოტა მომეკლო საკუთარი თავისთვის და სხვისთვის მიმეხედა, მატერიალურად, პროფესიულად.

კიდევ ერთი — პოზიტიურობას, ოპტიმიზმს ერთი ნაბიჯი ჰყოფს ჯიუტობისგან და ხანდახან მრცხვენია ხოლმე, რომ სათანადოდ არ ვუსმენ ხალხს, რომელიც მიხსნის, რა მეშლება. ამ მიმართულებით ვმუშაობ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ დიდი პროგრესი მაქვს.

და ბოლოს, ჯანმრთელობის უგულებელყოფა, რაც რას მივაწერო — უკულტურობას, დაუდევრობას, ახალგაზრდულ სიშტერეს თუ რას, არ ვიცი.

— მართვის აკადემიის მთავარი ამოცანაა მენეჯერებისთვის იმ უნარების გადაცემა, რაც მათ უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. რაღაც თვალსაზრისით, ყველა ინდივიდუალური მენეჯერები ვართ, გადაწყვეტილებების მიმღები არსებები, ჰოდა, რაშია აქ წარმატების საიდუმლო?

— ძალიან ფუნდამენტური რამეა პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. როგორც წესი, დამსახურებას სულ ჩვენზე ვიწერთ და რაც ფუჭდება, სხვისი ბრალია. მე თუ სამსახურში მიმიღეს, იმიტომ, რომ ჭკვიანი ვარ და თუ არ მიმიღეს, იმიტომ, რომ ჩაწყობითაა. თუკი მანქანაში შუშებზე ჩვენს დახატულ ნახატებს გავაკრავთ, მანქანას ხომ ველარ ვმართავთ?! მოკლედ, აქ მთავარია, რომ რეალობას შეხედო თვალებში. სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად ძნელი.

ასევე, ამბობენ, რომ როგორც თითოეულ ორგანიზაციას მართავს საბჭო, ხელმძღვანელების გუნდი, ასევე ჩვენს თავებში ცხოვრობენ სხვადასხვა ხმები — დედის, მამის, დავით აღმაშენებლის, ნაცარქექიასი და ა.შ. და როდესაც გადაწყვეტილებაა მისაღები, ყველა თავის მოსაზრებას გამოთქვამს. სანდრომ გადაწყვიტა ვარჯიში, ნაცარქექია ეუბნება: არ წახვიდე, გაცივდები, დღეს წვიმს, მე შენზე ვზრუნავ. ამ „მაჯლაჯუნებმა“, რომლებიც იდეალურად გიცნობენ, უზუსტესად იციან, როდის რა უნდა გითხრან, რომ გაგაზარმაცონ, შეგაშინონ. თუ გინდა, რომ წარმატებული მენეჯერი გახდე, მაშინ გახდი ამ შინაგანი საბჭოს თავმჯდომარე. მოუსმინე ნაცარქექიას, მაგრამ გადაწყვეტილება შენ მიიღე.

როგორც თითოეულ ორგანიზაციას მართავს საბჭო, ხელმძღვანელების გუნდი, ასევე ჩვენს თავებში ცხოვრობენ სხვადასხვა ხმები — დედის, მამის, დავით აღმაშენებლის, ნაცარქექიასი და ა.შ. და როდესაც გადაწყვეტილებაა მისაღები, ყველა თავის მოსაზრებას გამოთქვამს. სანდრომ გადაწყვიტა ვარჯიში, ნაცარქექია ეუბნება: არ წახვიდე, გაცივდები, დღეს წვიმს, მე შენზე ვზრუნავ. ამ „მაჯლაჯუნებმა“, რომლებიც იდეალურად გიცნობენ, უზუსტესად იციან, როდის რა უნდა გითხრან, რომ გაგაზარმაცონ, შეგაშინონ. თუ გინდა, რომ წარმატებული მენეჯერი გახდე, მაშინ გახდი ამ შინაგანი საბჭოს თავმჯდომარე. მოუსმინე ნაცარქექიას, მაგრამ გადაწყვეტილება შენ მიიღე.

ალბერტ ეინშტეინი ამბობდა, ინტელექტუალურ ადამიანს ის ეცოდინებოდეს, ინტელექტუალურ ადამიანს ეს ეცოდინებოდეს, ინტელექტუალურ ადამიანს ეს ეცოდინებოდეს, ეს ეცოდინებოდეს, ეს ეცოდინებოდეს,

◎ „ჩვენ ერთი ცნობიერების ხალხი ვართ!..“

ადათი, რომელიც ყველა კავკასიელს აერთიანებს

იმ მრავალი ადათიდან, რომელიც, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, კავკასიელ ხალხებს აერთიანებთ, იქნება ეს სტუმარ-მასპინძლობა, უფროსის პატივისცემა თუ სხვა, ალბათ, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ძმადნაფიცობის ინსტიტუტი, რომელიც თავის თავში ხელოვნურ დანათესავებას და ურთიერთობის სიწმინდეს მოიცავს. ამ წესს კავკასიაში და მათ შორის საქართველოში ძირითადად მთაში ვხვდებით, თუმცა სადღეისოდ იქაც ნაკლებად, რადგან სხვადასხვა ფაქტორებმა ამ ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ძმობის ფიცი წმინდა, ურყვნელი და ძლიერი კავშირის გამოხატულებას გულისხმობდა. ძმად შეფიცულები არა მხოლოდ მეგობრებად, არამედ ოჯახის წევრებად აღიქმებოდნენ და მათზე ყველა ის უფლებამოვალეობა ვრცელდებოდა, როგორიც დედმამიშვილზე.

ისტორიკოსი ზაზა ჭაია: ადრე იყო თეორია იბერიულ-კავკასიური ჯგუფებისა. მათში შედიოდნენ ყაბარდოელები, აფხაზები, ადიღეელები, დაღესტნელი ხალხები, ვაინახები, ქართველები. შემდეგ ამ თეორიას სხვადასხვანაირად შეხედეს, მაგრამ კავკასიელებს გენეტიკაში ბევრი საერთო რომ გვაქვს, ამაზე არავინ დავობს. თვით ისეთი ხალხები, რომლებიც შედარებით გვიან შემოვიდნენ, ვთქვათ, ირანული წარმოშობის ოსები და ყარაჩაელები, თურქულ-ირანული წარმოშობის ბალყარელები, ისინიც, ასე ვთქვათ, სრულყოფილი კავკასიელები გახდნენ. ვინც დღევანდელ ამიერ და იმიერკავკასიაში ცხოვრობს, წინაპრებისგან იციან თავიანთი ტრადიციების შესახებ. თუ არ ასრულებენ, იციან მაინც. ხალხებს შორის ურთიერთობა, ნდობა და ძმადნაფიცობის ინსტიტუტი ეჯაჭვება მორდუობის ინსტიტუტს. მაგალითად, სვანი თავადები — დადეშქელიანები და გარდაფხაძეები შვილებს აძიძავებდნენ ბალყარელ კარგ გვარიშვილებთან. ბუნებრივია, ყალიბდებოდა ურთიერთობა. იმ დადეშქელიანისთვის ბალყარეთი ისეთივე სამშობლო იყო, როგორიც სვანეთი. აფხაზების ბოლო მთავარი მიხეილ შერვაშიძე გაძიძავებული ჰყავდათ ჩერქეზული ტომის ხალხში — უბიხებში. სამწუხაროდ, ისინი დღეს რუსეთის „წყალობით“ აღარ არსებობენ. უბიხები სახლობდნენ თანამედროვე სოჭის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს იყო მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მებრძოლი სულის ხალხი და მათთან აღზრდა კარგ ტონად ითვლებოდა. აფხაზი მთავრები შთამომავლებს აძიძავებდნენ იქ, რათა მათ ოჯახში მიეღოთ კავკასიური დაწყებითი განათლება. გარკვეულწილად, ამას ემყარებოდა ძმადნაფიცობის ტრადიცია, ზოგადად ურთიერთობა, პოლიტიკა, ნდობა.

თავად ძმადნაფიცობის ტრადიციას ძალიან სიღრმისეული ფესვები აქვს. ის არ ასხვავებს რელიგიას და ეროვნებას, მაგრამ აქვს დაფიცების და ურთიერთობების წესი. მაგალითად, თუ ქართველი ფიცს დებდა ჯვარცმაზე, ბიბლიაზე ან ხატზე, მუსლიმი ყოველთვის იფიცებდა ყურანზე. სხვათა შორის, მსგავს წესს ჩვენ ვხვდებით მონღოლებშიც. არ ვიცი, მათ ეს როგორ აიღეს, მაგრამ როდესაც მონღოლი ფიალას ავსებდა, შიგ ვერცხლს ათლიდა და სვამდა, ეს უკვე გარანტია იყო იმისა, რომ საკუთარ სიტყვას არ გატეხდა. ეს წესი ქართველებმაც იცოდნენ და ჩვენთან მას ფიცვერცხლი ჰქვია. ჩვენთან ასევეა სისხლით ძმადნაფიცობა. ბევრი ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ძმადნაფიცობის ინსტიტუტი, თავისი წესებით ძალიან საინტერესოდ არის განმარტებული ჭაბუა ამირეჯიბის მართლაც უკვდავ „დათა თუთაშხიაში“. დათა თუთაშხია სიცოცხლის ბოლო დღეებში თავის ბალყარელ ძმადნაფიცს სტუმრობს. იქ ნათლად არის გადმოცემული, თუ რა არის ძმადნაფიცის ვალდებულება, რა უნდა იკითხოს, რისი უფლება აქვს და რისი არა. თუ ახალგაზრდა ძმადნაფიცმა რაღაც არ იცის, სირცხვილი არაა, რომ იკითხოს და შემდეგ ამისდა მიხედვით მოიქცეს. ანალოგიური საკითხი სხვა კონტექსტში დანახულია ვაჟა-ფშაველაში. იქ ეს გადაჯაჭვულია სტუმარ-მასპინძლობასთან, ვაჟკაცობის აღქმასთან, მოყვასის სიყვარულთან და აქ უკვე ვაჟას გმირები წინააღმდეგობაში მოდიან თავად თემის ტრადიციებთან.

თემურ ლენგის შემოსევის შემდეგ კავკასია დიდწილად გადაიხარა მუსლიმანობისკენ და ბუნებრივია, რელიგიამ თავისი დაღი დაასვა. ძმადნაფიცის ინსტიტუტი ძლიერია აზერბაიჯანში, თუმცა აქ მას უფრო რელიგიური სახე აქვს, იქ გარეულია მუსლიმანური ტრადიციებიც. ადრე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ალბანური ტომები ცხოვრობდნენ, ეს უფრო კავკასიური ტომებია. მათ წარმოშობაზე მეცნიერები ჯერ კიდევ დავობენ, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ეს კავკასიური ტომებია. შემდეგ მოხდა არაბული, ირანული, თურქული, თურქმანული ელემენტის შესვლა და ჩამოყალიბდა აზერბაიჯანელი ერი.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ არც დღეს და არც წარსულში რელიგია არ უშლიდა ხელს ძმადნაფიცობას. ბევრი ქართული ოჯახია, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ჩრდილოეთ კავკასიელებთან. ბევრი ტკივილი და უსიამოვნება გვაქვს მიყენებული ერთმანეთისთვის, მაგრამ არის რაღაც, რაც ერთი მიმართულებით აზროვნებისკენ გვიბიძგებს. თუ რელიგიურ მომენტებს და კიდევ რამდენიმე ტრადიციას გამოვრიცხავთ, შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების ერთი სიმაღლეა. მათ წინაპრებისგან იციან ქართველების პატივისცემა, ისევე, როგორც ჩვენ ვიცით ყველა კავკასიელი ხალხის პატივისცემა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ინგუშები. ჩვენი ისტორიკოსები მათ ღლიღვებს უწოდებდნენ. თუ ისტორიას გადავხედავთ, ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ რაიმე მსხვილმასშტაბიანი საომარი კონფლიქტი არ გვიწარმოებია. ყველა ინგუშმა იცის, რომ ქართველი მისი ძმაა და ყველა ქართველმა იცის და თუ არ იცის, უნდა იცოდეს, რომ ეს ხალხი მისი ახლობელია.

— როგორც თემაზე მუშაობისას აღმოვაჩინე და ეს თავად სომხებმაც დამიდასტურეს, მათ ძმადნაფიცობის ადათი არა აქვთ...

— ამ თემაზე მათთან არ მისაუბრია. უამრავი სომეხი მეგობარი მყავს. შეიძლება, თავად წესი გაწერილი არ ჰქონდეთ. ენობრივი ჯგუფი კავკასიური ცალკე ჯგუფია. სომხები, მაგალითად, ინდოევროპულ ჯგუფში წევრიანდებიან. კი, ამდენი საუკუნის თანაცხოვრობის შემდეგ ჩვენ ბევრი რამ ავიღეთ ერთმანეთისგან , მაგრამ მათი ჯგუფი მაინც სხვაა, კავკასიური — სხვა. მათაც ძალიან ბევრი ლამაზი ტრადიცია აქვთ, მაგრამ ძმადნაფიცობის და მორდუობის ინსტიტუტს, რამდენადაც მე ვიცი, მაინც ნაკლებად ვხვდებით.

— თავად ამ ადათ-წესებზე რომ ვისაუბროთ, რა ვალდებულებებს აკისრებს ძმადნაფიცობა შეფიცულ პირებს?

— ეს დაახლოებით ისეა, როგორც ქართული ნათელ-მირონობა. ბუნებრივია, აქ ყველა წესი არ გადმოდის, მაგრამ როცა ძმადნაფიცი ხარ, იქ უკვე ძალიან სიღრმისეული წესებია. თუშეთშიც, ხევსურეთშიც, ფშავშიც, ქისტებშიც, მთის ხალხებში ყველა თავისებურად აღნიშნავს, მაგრამ არის დაუწერელი კანონები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაიცვა — ძმობის ფიცის დადების შემთხვევაში შენ ძმა და ოჯახის შვილი ხდები. შეიძლება, ეს ოჯახი წლების განმავლობაში ვერ ინახულო, მაგრამ ეს ურთიერთობაზე არ მოქმედებს. შენ იცი, რომ იქ, სადღაც შენი ოჯახის წევრები ცხოვრობენ. ბუნებრივია, ამ ოჯახებს შორის ქორწინება დაუშვებელია. რამდენადაც მე თავად ვაინახებისგან ვიცი, ჯერ ქალი ნაკლებად ტრიალებდა მამაკაცების თვალწინ, მაგრამ სტუმრად მისული თუ ძმადნაფიცი იყო, ის მასპინძლის ოჯახის ქალს თვალებში არ ჩახედავდა. ეს დაუწერელი კანონი იყო. ეს საინტერესო იმიტომ არის, რომ დამოკიდებულების სიწმინდეს ასახავს. აქ არა აქვს მნიშვნელობა რელიგიას, ეროვნებას და ენობრივ ჯგუფს.

— ამ წესს მხოლოდ მამაკაცებში ვხვდებით?

— დიახ, როგორც წესი. მაგრამ გამონაკლისებს ვხვდებით ნაწარმოებებში, ისტორიულ ქრონიკებში. შეიძლება, შვილგარდაცვლილ დედას შეჰფიცოს ახალგაზრდა მამაკაცმა შვილობა, მაგრამ ეს უკვე სხვა ინსტიტუტია.

— კავკასიის გარდა, სად ვხვდებით ამ ადათს?

— ძველ გერმანულ ტომებში, გოთებში, ფრანკებში, ანგლებში და აშ. ეს არ იყო იმ ფორმით, რასაც ფიცვერცხლს ვუწოდებთ, თუმცა ძლიერი მეგობრული კავშირის დამყარება სხვა გარემოებებში და სხვაგვარად ყველა მეომარმა ხალხმა იცოდა ამა თუ იმ გზით, მაგრამ ეს გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული, დაუწერელი კანონებით გაჯერებული იგრძნობა კავკასიაში.

დიანა მუსელიანი

დედამიწის ზურგზე

ამერიკული სარაკეტო ნაღმოსანი შევიდა შავ ზღვაში

ქსელში გაჩნდა კადრები იმის შესახებ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო ხომალდი როგორ გადის ბოსფორის სრუტეში. პენტაგონმა მომავალი ღონისძიების შესახებ გააფრთხილა ყველა ქვეყანა, რომ მისი მიზანია მშვიდობისა და სტაბილურობის გამტკიცება რეგიონში.

უკრაინის ელჩი ყირგიზეთში არ მივიდა ღსთ-ს მთავრობათა მეთაურების გაფართოებულ სხდომაზე

შეხვედრა მიმდინარეობდა 7 ივნისს ბიშკეკში რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვის მთავრობათა მეთაურების, აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ვიცე-პრემიერების მონაწილეობით. დიპლომატის ადგილი მრგვალ მაგიდასთან ცარიელი დარჩა. ვიწრო შემადგენლობის სხდომაზეც არ ყოფილა ელჩი, თუმცა, სიაში ეწერა.

ყაზახეთის საშინაო საქმეთა სამინისტრომ ანგარიში ჩააბარა სპეცოპერაციის შესახებ აქტობში: განადგურებულია 13 ტერორისტი, შვიდს ეძებენ

ღამემ აქტობში მშვიდად ჩაიარა, საწარმოები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობს ჩვეულებრივ რეჟიმში. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობა აგრძელებს სამსახურს გაძლიერებულ რეჟიმში. დილით 7 ივნისს ქალაქში დაიწყო სკოლის გამოსაშვებ მოსწავლეთა ერთიანი ეროვნული ტესტირება, რომელიც ტერორისტული აქტის გამო გადაიტანეს.

ბულგარეთმა გაიწვია მოთხოვნა ავსტრიიდან რუსი ქილერის ექსტრადიციის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება 56 მკვლელობაში

ასლან გაგიევი დააპატიმრა ავსტრიული პოლიციის სპეცნაზმა შარშან იანვარში. მას ჩამოართვეს პასპორტი, პირადობის მოწმობა და მძღოლის უფლება, რომლებიც გაცემულია სხვა გვარზე, რომელთა შესაბამისადაც იგი ბულგარეთის მოქალაქეა. ცნობა მისი დაკავების შესახებ გაეგზავნა არა მხოლოდ ინტერპოლის რუსულ ბიუროს, არამედ ბულგარეთისასაც.

ჰილარი კლინტონმა დააგროვა დელეგატების აუცილებელი ოდენობა პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისათვის

„ასოშიეიტედ პრესის“ მონაცემებით, ამჟამად ჰილარი კლინტონის მხარესაა 2383 დელეგატი — სწორედ ამდენია აუცილებელი კანდიდატად დასახელებისათვის დემოკრატიული პარტიისგან. ამრიგად, უკანასკნელი „სუპერსამშაბათი“, რომელიც 7 ივნისს გაიმართა, გახდა დემოკრატებისათვის ფორმალური.

სტამბოლში აფეთქდა ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილი

დაიღუპა ორი კაცი, რვა დაიჭრა. ინციდენტი მოხდა ვეზნეჯილერის რაიონში. სავარაუდოდ, შეტევის მიზანი იყო პოლიციის ავტობუსი. როდესაც მან ჩაიარა ავტომობილის მახლობლად, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერებები იყო, იგი აფეთქდა.

გურამ ჭავჭანიძე

ეს გაუმარჯოს გულს, ტრფობით სავსეს!



ნატვრა

ისეთი ლექსის მსურს მოგონება,
გულით რომ იყოს ამოსათქმელი,
რომ გაუნათდეს ქართველს გონება
და შეუყვარდეს მოძმე ქართველი.
ჩემო ქვეყანა, ჩემო ხატება,
ნეტა მომასწრო ის დრო ნათელი,
რომ არ მესმოდეს ეს მონატრება:
ღმერთო, უყვარდეს ქართველს ქართველი!

რამ შეგაჯავრათ?

თუ ხართ ამ ქვეყნის მმართველი,
რამ შეგაჯავრათ ქართველი?
ასე ვერაფერს გახდებით
და უეჭველად წახდებით.
გადამთიელთა მონებას
გიჯობთ, მოუხმოთ გონებას,
თუ ხართ ამ ქვეყნის მმართველი,
უნდა გიყვარდეთ ქართველი!

* * *

როცა პენსია მიდის ვალებში,
თქვენ კი კვლავ ნაცარს გვაყრით
თვალებში,
განა, ეს არის „საქმის კაცობა?“
არა, ეს არის არაკაცობა!

დიდი მგოსნის გახსენება

ეძებდი, თანაც ჰკვირობდი:
„ვერ ვნახე, დაკარგულიყო,“
გულამოსკვნილი სტიროდი:
,,სადა ხარ, ჩემო სულიკო?“

საქართველოში სულ იყო
ძებნა სხვა საქართველოსი,
მაგრამ, ვაი, რომ სულიკო
არც დღეს ჩანს საქართველოში.

სხვა საქართველო კი არა,
რაც იყო ისიც დავკარგეთ.
მიტომ მაქვს გულში იარა,
ქვეყანა რომ ვერ განვკარგეთ.

,,ღრუბლებში ამაღლებულა,
როგორც ოცნება კაცისა“,
მაგრამ ვერ გალაღებულა,
არც მიწისაა, არც ცისა.

შენი დაფი და ნაღარა,
თუმცა კვლავ უხმობს გმირებსა,
მაგრამ რომ სჩანან აღარა,
მიტომაც ულხინთ ვირებსა.

მიტომ ვართ დღესაც უმუხტო,
დღესაც გვდის ცრემლი ცხარეო,
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

ჩვენი სარდანაპალი

ძველი რვეულიდან

ჩვენი სარდანაპალი
არ გეგონოთ ლაჩარი,
თანაც, როგორც სარდალი,
უნდა ითქვას მართალი,
ისე სწრაფად გარბოდა
თავის აშლილ ფაფარით,
მერე, ძირს რომ გაგორდა,
ზღაპარ იყო, ზღაპარი!

რა ნამუსით წაუყრუე

ძველი რვეულიდან

სანდროს მკვლელებს რა ნამუსით
წაუყრუე?
ან მის მშობელს როგორ უცქერ ნეტა?
დოქსოპულო მახსენდება, რომ გიყურებ,
დავიჯერო, არც შენა გყავს დედა?

საპკანი ბიჭს

საიდუმლო გარათი ოკეანის გაღმიდან
ძველი რვეულიდან

გაფიცებ მთელ შენს ქონებას
და ქოზალია ვერასა,
თუ არ მოუხმობ გონებას,
მე ვერ გიშველი ვერასა.

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
არ იქნება ბევრი ერი,
დაგვამშიეს, დაგვაქციეს,
მაინც ვცეკვავთ, მაინც ვმღერით.

ამბობენ

ამბობენ, „გიჟი“ კვლავ დაბრუნდება,
გამოიფხიკეთ ყურები,
გახსოვდეთ, ისევ გადაბრუნდება
ჩვენი ბობღია ურემი...

* * *

პატრიოტიზმი თუ გახდა ფარსი
და ნაძირალთა თავშესაფარი,
ანუ თუ ერმა დაკარგა ფასი,
სხვა საქართველო მართლაც სად არი.

უკვე შეგვემღვრა სისხლი და ფერი,
არ გეცნაურათ რაიმე განა?
თუ გადაჯიშდა ქართველი ერი,
სხვას არ დარჩება ჩვენი ქვეყანა?

ნუთუ ძნელია იმის დანახვა,
იმის გაგება, რაც ჩვენს თავს ხდება,
ქართველო ხალხო, ბრმა ხომ არა ხარ?
ყრუ ხომ არა ხარ, რა გემართება?

როგორ დაეცი, რამ დაგაკნინა,
აღარც ძალა გაქვს, აღარც მორალი,
ეგ სისხლი მაინც რამ გაგიყინა,
„ნადიდგორალი, ნაშამქორალი!“

ვერ გადავრჩებით უსიყვარულოდ!

ჩვენი სამშობლო განა მარტო
ლურჯი მთებია...
ქართველთა შორის სიყვარული
მომნატრებია,
„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს
ცის კამარაზე“,
არც ლურჯი მთები იარსებებს,
არც სილამაზე.
რამ დაუბინდა, ნეტა, ქართველს
სული ნათელი,
რამ შეაძულა, ნეტა, ქართველს
მოძმე ქართველი?
ბოღმით და შურით ეს ქვეყანა
ვერ გადარჩება,
თუ დავჭამთ ერთურთს, ლურჯი მთები
სხვას არ დარჩება?
ნუ ვუმტრობთ ერთურთს, დებო, ძმებო,
ვესიყვარულოთ.
ვერ გადავრჩებით, ქართველებო,
უსიყვარულოდ!

ეს გაუმარჯოს!

ეს გაუმარჯოს გულს, ტრფობით სავსეს
და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია,
თუ სიყვარული არ გალამაზებს,
მაშინ მაისიც რა მაისია!

მე ვეტრფი სულით, გულით ლამაზებს,
დამილოცნია მათი მისია,
ვინც წუთისოფელს გამილამაზებს,
ჩემი სულისთქმაც სწორედ მისია.

დიდება ღმერთებს, ამ ქვეყანაზე
რომ სიყვარული მარადისია,
ეს გაუმარჯოს გულს, ტრფობით სავსეს
და გულს, რომელიც ტრფობის ღირსია!

04.05.16

ჩინელ დედოფალთა მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოებანი

საუკუნეების წინათ, დაოსელმა ბერებმა ჩინეთის დედოფლებისთვის გამახალგაზრდავებელი საგანგებო უნიკალური მეთოდიკა შეიმუშავეს. ჩვენს დროში მკვლევარებმა შეძლეს მის საიდუმლოებათა ამოხსნა. ისინი, ვინც ამ ვარჯიშებს ასრულებს, ენერგიის მოზღვავებას პირველი დღეებიდანვე გრძნობს, მოკლე ხანში ადამიანს ჯანმრთელობაც უმჯობესდება და იერ-სახეც.

ვარჯიშების შესრულებისას ოთხ ძირითად პრინციპს მისდევენ:

1. ყველაფერი შეასრულეთ აუჩქარებლად.

2. ისუნთქეთ მშვიდად და თანაბრად.

3. ყველა ვარჯიში შეასრულეთ კუნთების დაუძაბავად. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს მოძრაობებს ვიღაც სხვა მართავს.

4. ყურადღება გაამახვილეთ სხეულის გარკვეულ წერტილებზე. ამით თქვენ მათზე ზემოქმედების დაჩქარებას შეძლებთ.

შემოთავაზებული ვარჯიშების დაწყებას თუ აპირებთ, საამისოდ წყნარი ადგილი და მოხერხებული სამოსელი შეარჩიეთ.

„მხრების გაშლა“

სწორად დადექით, ფეხები მხრების სიგანეზე დადგით, ხელები მოადუნეთ. ყურადღება გაამახვილეთ სუნთქვაზე, იგი მშვიდი და აუჩქარებელი უნდა იყოს. იფიქრეთ ახალგაზრდობასა და ენერგიაზე.

ხელები ფეხებზე დაიწყეთ და ოდნავ ჩაჯექით, ტანი ცოტა წინ დახარეთ. ნელი მოძრაობით ხელები მუხლებზე გადაიტანეთ.

ოდნავ აწიეთ ზევით თეძოები, თავი და მხრები ქვევით დაწიეთ, ამოისუნთქეთ.

შემდეგ ნელ-ნელა გაიმართეთ და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. ვარჯიში რვაჯერ გაიმეორეთ.

„გაზაფხულის დაბრუნება“

აღნიშნული მეთოდიკის ერთ-ერთ მთავარ ვარჯიშს „გაზაფხულის დაბრუნება“ ეწოდება. იგი მეტაბოლიზმს აუმჯობესებს. ცოტა ხნის შემდეგ შეამჩნევთ, რომ კანი გაგისუფთავდათ, სიმშრალე და ანთებები გაგიქრებათ.

სწორად დადექით, ფეხები მხრების სიგანეზე დადგით და ღრმად ჩაისუნთქეთ. შემდეგ ოდნავ ჩაჯექით, ტანი სწორად დაიჭირეთ. შეეცადეთ, მოდუნდეთ, მერე კი მუხლებით მსუბუქი ზამბარისებული მოძრაობები გააკეთეთ. თუკი მოძრაობებს სწორად შეასრულებთ, ტანში ვიბრაციას იგრძნობთ.

ამასთან, საჭიროა დაიცვათ სიფრთხილე: ამ ვარჯიშის გაკეთებას უნდა მოერიდონ ფეხმძიმე, მენსტრუაციის პერიოდში ქალები, ასევე ისინი, ვისაც მუცლის ღრუს ორგანოებთან პრობლემები აქვს.

ცოლქმრული ღალატის სათავე

ცოტა ხნის წინათ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ერთი და იგივე გენი პასუხისმგებელია როგორც სიახლეებისა და მოგზაურობებისადმი სიყვარულზე, ასევე ცოლქმრულ ღალატზე. თუკი ლოგიკურ მსჯელობას მივყვებით, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი, ვისაც მოგზაურობა უყვარს, ნაკლებად სანდონი და მეუღლის ღალატისადმი მიდრეკილი არიან.

ფიზიოლოგიურად დადასტურებულია, რომ ადამიანს აქვს DRD4 გენი, რომელიც თავის ტვინში სიამოვნების ცენტრების მუშაობას აკონტროლებს. ამ გენის ერთ-ერთი ვარიანტი კი უძლიერებს ადამიანებს ახალი შთაბეჭდილებებისადმი ინტერესს, მნიშვნელოვნად ზრდის მათი იმპულსურობის ხარისხს. ადრე მკვლევარებმა ექსერიმენტების მთელი რიგი ჩაატარეს, რომელთა შედეგად გაირკვა, რომ ის უფრო მეტად მომთაბარე ხალხებშია გავრცელებული. თუმცა კი ისიცაა, რომ ექსპერიმენტების შედეგი ასე ცალსახა არ არის, ამიტომაც საჭიროა კვლევების გაგრძელება.

იმის გამო, რომ DRD4 გენის აღნიშნული ვარიანტი სიახლეებისადმი ლტოლვას უკავშირდება, მეცნიერებმა აზრი გამოთქვეს, რომ **სიახლე თავს უნდა იჩენდეს არა მხოლოდ ახალი ადგილების ნახვის სურვილით, არამედ სექსუალურ პარტნიორთა შეცვლის ინტერესითაც**. მაგრამ, ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი საიმედო მონაცემებით, ჯერჯერობით მაინც არასაკმარისადაა.

გარდა ამისა, არსებობს ვაზოპრესინის რეცეპტორის გენიც. მისი ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც თავდაპირველად მინდვრის თაგვებს აღმოუჩინეს, ცოლქმრულ ერთგულებას „აპროგრამებს“, მეორე კი — პირიქით, ქალს თუ კაცს ღალატისკენ „უბიძგებს“. მერე კი აღმოჩნდა, რომ ამ გენთა ნაკრების მქონე მამაკაცები ცოლს იშვიათად ირთავენ და ბერბიჭებად დარჩენას ამჯობინებენ. ხოლო თუ მაინც გადაწყვეტენ ქალის შერთვას, მათი მეუღლეები ძალიან ხშირად თავიანთი ცოლქმრული კავშირით უკმაყოფილონი არიან ხოლმე.

საუკუნეზე მხცოვანი ბებია

წლეულს გაზაფხულზე, 14 მარტს, ასტრახანის ოლქში მცხოვრები ტანზილია ბისემბეევა 120 წლისა გახდა და ეს მიღწევა რუსეთის რეკორდების წიგნში შეიტანეს.

ეს საუკუნეს დიდი ხნის წინათ გადაცილებული ქალბატონი დაბა ისლამმაზში, უმცროსი ვაჟიშვილის სახლში ცხოვრობს. მას სამი ვაჟი, 10 შვილიშვილი, 24 შვილიშვილისშვილი და 2 შვილიშვილის შვილიშვილი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ 100 წლის ასაკის მიღწევამდე, მას სამედიცინო დახმარებისთვის არასდროს მიუმართავს! მართალია, ქალბატონი ტანზილია ქუჩაში აღარ გადის, სამაგიეროდ, საკუთარ თავს თავად უვლის. რუსული მან კი იცის, ოღონდ ძალიან ცუდად. მისი ნათესავების თქმით, ქალბატონ ტანზილიას დღეგრძელობის საიდუმლო აქტივობა და ცხოვრების პოზიტიური აღქმაა. გარდა ამისა, ეს 120 წლის ქალი უსაქმოდ არასდროს არ ზის და მხოლოდ ნატურალურ სურსათს მოიხმარს.

— არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დღეგრძელობა მემკვიდრეობით გადადის, მაგრამ ისეთი ფაქტები დოკუმენტურადაა დარეგისტრირებული, როცა ერთ ოჯახში, ვთქვათ, ბებიები და ბებიების ბებიებს ას წლამდე ეცოცხლოდ, — ამბობს დოქტორი ბოლესლავ ლევიტანი. — როგორც ჩანს, ბისემბეევას კარგი მემკვიდრეობითობა აქვს, რასაც, ცხადია, რეჟიმი, სწორი კვება და ცხოვრების ჯანსაღი წესი უნდა დავუმატოთ.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა, რომ დღეგრძელი ხალხი რომელიმე ცალკე აღებულ რეგიონში გამორჩეულად იყოს? დიახ, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია **(ვთქვათ, ჩვენში ამით აფხაზეთია გამორჩეული — რედ.),** მაგრამ რუსეთის ასტრახანის ოლქი მათ რიცხვში არ შედის.

◎ ვითარება

გაგეობა ფედერაციის მიმართ წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ოფისში ფედერაციის გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელსაც გამგეობის 9 წევრიდან ვეტერანი კალათბურთელები – საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი, ვალერი ლომაძე, გივი ბიჭიაშვილი, ნოდარ ქორქია და გია სანაძე ესწრებოდნენ.

საპატიო მიზეზით არ იყო ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებული საქმეების გამო საქართველოში არ იმყოფება. რაც შეეხებათ ვიცე-პრეზიდენტ კახა

შენგელიას და საკალათბურთო კლუბ „ვითას“ პრეზიდენტ თემურ დათიკაშვილს, მათ რამდენიმე დღის წინ ჩატარებულ გამგეობის სხდომაზე ფედერაციას ბრალი დასდეს თანხის არამიზნობრივად ხარჯვაში, პროტესტის ნიშნად გამგეობა დატოვეს და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვენ.

გამგეობის სხდომა სწორედ შენგელიასა და დათიკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას მიეძღვნა. სხდომის დასრულების შემდეგ გამგეობის წევრებმა მასმედიისათვის განცხადება გააკეთეს.

მიხეილ გაბრიჩიძე: „ფედერაციის მიმართ აგორდა შავი პიარკამპანია. დიდ წუხილს იწვევს, რომ მისი ავტორები ის ადამიანები არიან, რომლებთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენს გუნდში იყვნენ. გამგეობის სხდომის დღევანდელი მონაწილეები და ასევე ვლადიმერ ბოისაც, რომელმაც თანადგომა სიტყვიერად დაგვიდასტურა, ემიჯნებიან შენგელიასა და დათიკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას.

ფედერაციის გამგეობამ კიდევ ერთხელ იმსჯელა სკეფ-სა და „სასკი ბასკონიას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე. გამგეობის წევრთა საერთო მოსაზრებით, პროექტი კიდევ ერთხელ შეფასებულია, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ და დიდი იმედების მომცემ წამოწყებად, გამომდინარე მისი ფინანსური რისკების მინიმუმამდე შემცირებისა და იმ მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შეუწყობს ხელს ქართული კალათბურთისათვის მაღალი ევროპული დონის მოთამაშეების აღზრდასა და მათ შემდგომ განვითარებას.

ფედერაციის გამგეობამ განიხილა თემურ დათიკაშვილისა და კახა შენგელიას მიერ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაცია, მისი ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონები თემურ დათიკაშვილი და კახა შენგელია ითვლებოდნენ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის არჩევნებში გამარჯვებული გუნდის წევრებად, სრულყოფილად ჰქონდათ გააზრებული გუნდის მიზნები და ამოცანები, მხარი დაუჭირეს საარჩევნო პროგრამას, ისინი სისტემატიურად ცდილობდნენ სტატუსიდან გამომდინარე, ფედერაციის სტრუქტურებში მოეხდინათ პირადი ინტერესების გატარება, რაც დაკავშირებული გახლდათ საკალათბურთო ინფრასტრუქტურის (დიდუბისა და ვერის ბაღის საკალათბურთო კომპლექსების) მათ პირად განკარგულებაში გადაცემის და მათ მიერ დაფუძნებული საკალათბურთო კლუბ „ვითას“ არამართლზომიერ ლობირებაში, რასაც, რა თქმა უნდა, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ვერ გაიზიარებდა.

იმავდროულად კახა შენგელია, როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ესწრებოდა როგორც „სასკი ბასკონიასთან“ მიმდინარე წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებს, აგრეთვე ხელშეკრულების ხელმოწერასაც, მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების ყველა დეტალი და საერთო დადებით აზრსაც ეთანხმებოდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე შარშან თბილისში ჩატარებული კემპის ორგანიზებასა და მსვლელობაში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობისათვის სრულიად გასაგებია, თუ რატომ ახდენენ ხსენებული ბატონები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტის დისკრედიტაციას. გამგეობისათვის მიუღებელია მისი ყოფილი წევრების მიერ მედია-საშუალებებში გავრცელებული, ფედერაციის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, შეგნებულად არასწორად მიწოდებული და შეურაცხმყოფელი ინფორმაცია.

გამგეობა მოუწოდებს კახა შენგელიასა და თემურ დათიკაშვილს შეწყვიტონ საზოგადოებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და მოახდინონ მათ მიერ მედიაში გავრცელებული ცრუ ინფორმაციის უარყოფა“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

გიორგი პაპუნაშვილი „დინამოში“ დაბრუნდა

ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი გიორგი პაპუნაშვილი, რომელიც იჯარით ბრემენში იმყოფებოდა და„ ვერდერი 2“-ის რიგებში ასპარეზობდა, მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. როგორც თბილისის „დინამოს“ პრესსამსახური იტყობინება, პაპუნაშვილს ტერფის ტრავმა აწუხებს და გუნდის სამედიცინო პერსონალი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ის საქართველოს ჩემპიონს ევროარენაზე პირველივე მატჩში დაეხმაროს.

აქვე გთავაზობთ გიორგი პაპუნაშვილის და „დინამოს“ ტექნიკური დირექტორის ლევან ზუხბაიას კომენტარებს, რომელიც კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა:

„გერმანიაში გატარებული პერიოდი ჩემთვის წარმატებული არ გამოდგა, მაგრამ საკმაო გამოცდილება მივიღე. თვალნათლივ დავინახე ,თუ რა დამაკლდა გუნდში თავის დასამკვიდრებლად. ზუსტად ვიცი, რა მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ ქართველმა ფეხბურთელებმა ევროპის წამყვან კლუბებში მოსახვედრად. თვითკრიტიკული ვარ და ამიერიდან გაათმაგებული ენერგიით და მონდომებით ვივარჯიშებ. ვთვლი, რომ კარიერის საუკეთესო პერიოდი წინ მაქვს და ამის დამტკიცებას „დინამოს“ უახლოესი მატჩებიდან ვაპირებ“ — განაცხადა გიორგი პაპუნაშვილმა.

„გიორგი საოცრად მოტივირებულია. მე მჯერა, რომ მისი ნიჭისა და შესაძლებლობების მქონე სპორტსმენი აუცილებლად გააძლიერებს „დინამოს“. ის მხოლოდ 20 წლის არის და თუ ასეთი შემართებით გააგრძელებს, უთუოდ ითამაშებს ევროპული დონის ფეხბურთს. ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი მისი დროული მკურნალობა და მინდორზე დაბრუნებაა“ — ამბობს კლუბის ტექნიკური დირექტორი ლევან ზუხბაია.

თემურ ქეცბაიამ აეკ-ი ჩაიბარა

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი თემურ ქეცბაია ათენის აეკ-ის მთავარი მწვრთნელი გახდა. როგორც ბერძნული კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, ქართველ სპეციალისტთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

ქეცბაია აეკ-ის ღირსებას ფეხბურთელობისას 1994-1997 წლებში იცავდა და ათენელთა მაისურით ჩატარებულ 119 მატჩში 39 გოლი გაიტანა. სწორედ აეკ-ში წარმატებული თამაშის შემდეგ განაგრძო კარიერა მან ინგლისურ „ნიუკასლში“.

48 წლის ქართველი მწვრთნელი ბოლოს კვიპროსულ აპოელ-ს ედგა სათავეში და გუნდი, რომელმაც კუნძულის ჩემპიონობა მოიპოვა, სეზონის მიწურულს დატოვა.

ბელარუსმა მწვრთნელმა ბოდიში მოიხადა

22 წლის ქართველი ფეხბურთელი პაპუნა მოსემღვდლიშვილი ბელარუსში ყურადღების ცენტრში მოექცა. ის მოზირის „სლავიაში“ ირიცხება, „კრუმკაჩისთან“ მატჩისას 66-ეწუთზე მოედნიდან გააძევეს და მსაჯზე გაბრაზებული მოედანს არ ტოვებდა. „სლავიას“ გამოცდილი მწვრთნელი იური პუნტუსი კი ქართველს მიეჭრა და უცენზურო სიტყვებით მიმართა, რამაც გულშემატკივრები გაახალისა.

იმ სიტყვებს, რაც პუნტუსმა ლეგიონერს უთხრა, აქ ვერ გავიმეორებთ. ქართველი ფეხბურთელიც იძულებული გახდა გასახდელში შესულიყო.

პუნტუსმა ბოდიში მოიხადა: „გუნდს და კონკრეტულად მოსემღვდლიშვილსაც ბოდიში მოვუხადე. პაპუნას ესმის, რომ ეს ემოციებია. თუმცა, ერთია ემოციები და მეორე ის, რომ პაპუნას არცთუ კარგად ესმის რუსული ენა. ქართულად არ ვიცი როგორ გამოითქმება, ჩვენს ამ ხმაურიან გამოთქმას კი ნებისმიერი ეროვნების ადამიანი იგებს“.

პაპუნაც გაგებით მოეკიდა მწვრთნელის უცენზურო სიტყვებს: „არ მწყენია. კარგად მესმის, რომ მწვრთნელი გაბრაზებული იყო ჩემი გაძევების გამო და თავი ვერ შეიკავა. გასახდელში გასვლა მევალებოდა. მეორე დღეს ვისაუბრეთ და ყველაფერი დასრულდა. ის პროფესიონალი მწვრთნელია, ძალიან მკაცრი და სამართლიანია. ამასთან, ემოციურია და ამით ჩვენ, ქართველებს გვგავს“.

ჩვენებური მაისის თვის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა „სლავიაში“. მას გულშემატკივართა 26-მა პროცენტმა მისცა ხმა.

გიორგი ზოთაძე

◎ პლაჟის ხელბურთი

პირველი ეტაპი „ბათუმმა“ მოიგო

შარშან პლაჟის ხელბურთელთა ეროვნულ ჩემპიონტში ბათუმელებმა გაიმარჯვეს — ოთხივე ეტაპი მოიგეს. „შავი ზღვის ბიჭებს“ წლეულსაც ფავორიტად მიიჩნევენ. ზღვისპირელებმა უძლეველობა ყვარელში ილიას ტბაზეც დაამტკიცეს, სადაც საქართველოს 2016 წლის ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. საასპარეზოდ ხუთმა გუნდმა მოიყარა თავი. ბათუმელებმა ოთხივე შეხვედრა მოიგეს და საგრძნობი უპირატესობით დაწინაურდნენ.

„ბათუმი“ — 8, „ქუთაისი“ — 4, ჭაბუკთა ნაკრები — 4, „ყვარელი“ — 2, „გორი“ — 2 ქულა.

საპლაჟო ტურის მეორე შეჯიბრება ერთი თვის შემდეგ ურეკში გაიმართება, ბოლო ორ ეტაპს კი აგვისტო-სექტემბერში წყალტუბო და ბათუმი უმასპინძლებენ.

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში უკონკურსოდ მონაწილეობდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (2000-2001 წ.წ.), რომელსაც 8-10 ივლისს პორტუგალიის სანაპირო ქალაქ ნაზარეში პლაჟის ხელბურთში თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი უწევს. მწვრთნელებმა (მამუკა მჟავანაძე, გიორგი წივწივაძე) ევროპის ფედერაციაში უკვე გააგზავნეს 15-კაციანი განაცხადი, საიდანაც ტურნირის წინ 10 საუკეთესოს შეარჩევენ. ნაკრები 8-9

ივნისს გლდანში გამართავს ორდღიან წვრთნას, შემდეგ კი შეკრებაზე ურეკში გაემგზავრება.

8-10 ივლისს ნაზარეში მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. წილისყრით ისინი ჯგუფებში ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: პორტუგალია, საქართველო, საბერძნეთი, სლოვაკეთი,

B ჯგუფი: შვეიცარია, რუსეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი,

C ჯგუფი: ესპანეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უკრაინა,

D ჯგუფი: უნგრეთი, ხორვატეთი,გერმანია, იტალია.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგებით

წინა ორი კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქართველთა მაჩვენებლები ასეთია:

ერთეულები. 229 (230). სოფიო შაფათავა (223 ქულა), 319 (302). ეკატერინე გორგოძე (124), 460 (467). სოფიო ქვაცაბაია (6), 491 (497). მარიამ ბოლქვაძე (57), 758 (687). ოქსანა კალაშნიკოვა (20), 760 (763). თინათინ ყავლაშვილი (20), 975 (989). ანა შანიძე (10), 1160 (1163). თამარ ჭალაგანიძე (5).

წყვილები. 51 (50). კალაშნიკოვა (1585), 143 (133). შაფათავა (501), 246 (215). გორგოძე (244), 461 (396). ქვაცაბაია (95), 654 (652). ბოლქვაძე (47), 775 (769). ყავლაშვილი (30), 917 (913). შანიძე (19), 1059 (1052). ანა ახალკაცი (12), 1239 (1232). ჭალაგანიძე (5).

მიმდინარე კვირას სოფიო შაფათავა გერმანულ ესენში 50.000-იან ტურნირში ჩაებმება. წყვილებში აქვე ითამაშებენ ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია. ანა შანიძე ბაქოს საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მოსინჯავს ძალებს.

* * *

ვაჟთა რეიტინგში ნიკოლოზ ბასილაშვილმა სამი საფეხურით წინ წაიწია და საუკეთესო ასეულისგან ერთი ადგილიღა აშორებს. 101 (104). ნიკოლოზ ბასილაშვილი (563), 264 (272). ალექსანდრე მეტრეველი (192), 905 (868). გიორგი ცივაძე (17), 1291 (1145). გიორგი ჯავახიშვილი (5), 1413 (1419). ალექსანდრე ბაკში (3), 1857 (1974). ირაკლი მეტრეველი (1).

ამ კვირას ალექსანდრე მეტრეველი მოსკოვის ჩელენჯერ — ტურნირში (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი) გამოვა. პირველ წრეში კვალიფიკაციიდან აღზევებულ ემილიო გომესს (ეკვადორი), ხოლო წყვილებში დმიტრი პოპკოსთან (ყაზახეთი) ერთად დენის მაცუკევიჩსა (რუსეთი) და ანდრეი ვასილევსკის (ბელარუსი) დაუპირისპირდება.

◎ სამცხე-ჯავახეთის მხარე

ჯანმრთელობისთვის საშიში ნაგავსაყრელები

სამცხე-ჯავახეთში არსებული არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის — ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების ის ნაწილი საუბრობს, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობს. ჯერ კიდევ 2015 წელს, მესამე სექტორის ინიციატივით, პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში, კვლევა ჩატარდა, რომლის შედეგებიც მხარის პირველ პირებს გააცნეს.

კვლევამ, რომელიც სამცხე-ჯავახეთში არსებულ არაკონტროლირებად ნაგავსაყრელებზე ჩატარდა, სავალალო შედეგი აჩვენა. გარემოსდაცვითი ორგანიზაციების კონსორციუმმა კვლევის შედეგები რეგიონის ხელისუფლებას გააცნო. კონსორციუმის წარმომადგენლებმა ახალციხის, ასპინძისა და ნინოწმინდის ტერიტორიებზე არსებული ნაგავსაყრელები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშად დაასახელეს. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი და „ორქისის“ ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში ნუგზარ ბუაჩიძე მედიასთან განმარტავს, რომ ტოქსიკურმა ნივთიერებებმა დაშვებულ ნორმას გადააჭარბა.

ანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ნიადაგი ქიმიური და ტოქსიკური ნივთიერებებითაა გაჯერებული. ერთ-ერთ სახიფათო ადგილად ახალციხის მახლობლად, მდინარე ფოცხოვის სანაპიროზე არსებული ნაგავსაყრელიც დასახელდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ტერიტორიები არა მხოლოდ უნდა დასუფთავდეს, არამედ მუნიციპალიტეტების მიერ გაკონტროლდეს კიდეც. რადიო „თავისუფლებამ“ რეგიონის სხვადასხვა სოფლის მოსახლეობა გამოჰკითხა. გზისპირა სოფლებში მცხოვრები ადგილობრივები დასუფთავების თაობაზე არ ჩივიან, მაღალმთიანი სოფლების წარმომადგენლები კი ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ურნების ნაკლებობასა და, ზოგ შემთხვევაში, მათ უქონლობას ასახელებენ.

კიდევ ერთი არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, ასპინძის ტერიტორიაზე მდებარეობს. კვლევის მიხედვით, სოფელ ძველი ჭობარეთის მონაკვეთში არსებული მყარი ნარჩენების დიდი ოდენობა უმართავია და ნიადაგი ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს. ასპინძაში ნაგავსაყრელების კუთხით შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე ლაპარაკობს მუნიციპალიტეტის გამგებელი. ლევან ცაბაძის აზრით, პრობლემის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის ძალებს აღემატება.

ექსპერტების თქმით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს გამოყოფს სახლის პირობებში არსებული უსარგებლო ნარჩენებიც — საღებავის ძველი ყუთები, ვადაგასული კოსმეტიკა, შამპუნები, წამლები, მწყობრიდან გამოსული თერმომეტრი, ფარანი და სხვა. სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, 2019 წლამდე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ დონეზე არსებული ნაგავსაყრელები უნდა დაიხუროს და მის მაგივრად ერთი ან რამდენიმე რეგიონალური ნაგავსაყრელი აშენდეს, სადაც თავს მოიყრის მყარი ნარჩენები სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. ადგილობრივი ნაგავსაყრელი, რომელიც ბორჯომში 2014 წელს აშენდა, სამართავად მყარი ნარჩენების კომპანიას გადაეცა.

მაია იველაშვილი

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 599 797679

განცხადება

2016 **წლის** 29 ივლისს, 3 საათზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის:. ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №106), გაიმართება 35 კვტ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მონტაჟის პროექტის „35 კვტ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მონტაჟი ბოლნისის რაიონში, სოფ. ტანძიის მიმდებარედ“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 35 კვტ საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მონტაჟი.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-ს ოფისში, (მის: 0171, ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1/9 ტელ: 599 958683; ქ. ბოლნისი, აღმაშენებლის ქ. №2, ტელ: 551 957424)
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №106, ტელ: 0358222555).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 22 ივლისი.

საკონტაქტო პირი: ლევან ასანიძე, ტელ 595 111207, ელ-ფოსტა: lasanidze@richmetalsgroup.

ადმინისტრაცია: ბენორი მიგინეიშვილი

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ხუთი წლის ექვს იანვარს გარდაცვლილი ქალბატონის რუდსკიხ კლარა ვლადიმერის ასულის მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე

გარდაიცვალა ვიქტორ კორჩნოი



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 85 წლისა გარდაიცვალა საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიო ჩემპიონობის ორგზის პრეტენდენტი, საჭადრაკო ოლიმპიადის 6-გზის გამარჯვებული, ევროპის 5-გზისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 4-გზის ჩემპიონი ვიქტორ კორჩნოი. იგი ღრმად მოხუცებულიც კი ჭადრაკს საკმაოდ კარგად თამაშობდა და 80 წლის ასაკში გახდა ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი.

კორჩნოი დაიბადა 1931 წლის 23 მარტს ლენინგრადში. 1976 წელს ერთ-ერთი ტურნირის დასრულების შემდეგ იგი უკან აღარ დაბრუნდა და ამსტერდამში დარჩა, ხოლო 1994 წელს შვეიცარიის მოქალაქე გახდა და სიცოცხლის დარჩენილი წლები იქ გაატარა.

კობა კობახიძე

მეუღლე ლერი ღვინჯილია, შვილები ეკა, ხათუნა ხომერიკები, ძმა რეზო ხომერიკი, სიძე გიგი კუბლაშვილი, მძახლები ნუგზარ იზორია, თინა ქართველიშვილი, ეთერ ზანგურიძე, შვილიშვილები ალექსანდრე (სანდრო), თიკა იზორიები, ანა, თორნიკე კუბლაშვილები, ცოლისძმა გურამ ღვინჯილია, ძმისწულები გია, ნინო ხომერიკები, ცოლის დისწული გოგა მაჭავარიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ გიორგის ძე ხომერიკი

პანაშვიდი 7, 8 VI, გამოსვენება 9 VI, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის III მ/რ, I კვარტალი, მე-16 კორპ. V სართ. ბინა 29. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

მკვლელობა ქუთაისში

ქუთაისში 50 წლამდე მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა გასულ ღამეს ლესელიძის ქუჩაზე მოხდა. მას ჭრილობები ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, მოტივი პირადი უთანხმოებაა. როგორც მეზობლები ამბობენ, მოკლულს უთანხმოება ჰქონდა მეზობელთან.

◎ გაითვალისწინეთ!

რას გვპირდები, თიბათვეო?

ივნისში გეოფიზიკური აქტივობის პროცესები მოსალოდნელია 11, 12, 17-21, 26-29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სოციუმში სეისმოაქტიურობისა და დაძაბულობის გაძლიერება.

11 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ძალწულში. შესაძლებელია სისხლის, ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი, საჭმლის ცუდი გადამუშავება, წყლის ცვლის დარღვევა. საალბათოა მოწამვლები და ინფექციური დაავადებანი. სასურველია ვერიდოთ სტრესებს, გონებრივ და ფიზიკურ გადატვირთვებს, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, დიეტა, ბოროტად არ გამოვიყენოთ ტკბილეული. ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური დათვალიერებისთვის, მკურნალობისთვის.

12 — მთავარი პირველი მეოთხედი. ბოიქიმიური პროცესები ორგანიზმში იწყებენ დაჩქარებას. ენერგეტიკა იზრდება, იზრდება საერთო დაძაბულობა, საალბათოა კონფლიქტები, დავები. შესაძლებელია საკვების გადამუშავებისა და ღვიძლის მუშაობის დარღვევა. გაზრდილმა ნერვიულობამ შეიძლება, მიგვიყვანოს ძილის დარღვევასთან და თავის ტკივილთან. სასურველია, გამოვიყენოთ მსუბუქი მცენარეული საკვები, მეტი დავისვენოთ და ვერიდოთ სტრესებს. უნარი — მოვდუნდეთ და ვიხალისოთ — კარგ შედეგებს მოგვიტანს.

17 — მთვარის შეერთება მარსთან ღრიანკალში. გაზრდილია აქტიურობა, იმპულსურობა, გაღიზიანებულობა. შესაძლებელია თავის ტკივილები, ძილის დარღვევა, ნევროზები, ციებ-ცხელება, ანთებითი დაავადებანი, გონებრივი მოშლილობა. არ არის გამორიცხული ნაწლავთან, სასქესო ორგანოებთან და შარდის გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. რეკომენდებულია კონტროლზე გვქონდეს ემოციები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე, დავიცვათ დიეტა. ერიდეთ ტრავმატიზმს, ჭრილობების მიღებას, ბასრ საგნებს, დაიცავით თავი დარტყმებისაგან.

19 — მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსანში. მოწყვლადია ფილტვები, ღვიძლი, ნერვული სისტემა, ვენები. მეტად საალბათოა ტკივილები ძვლებსა და სახსრებში, რევმატიზმის, ართროზისა და ართრიტის გამწვავება, განსაკუთრებით მენჯ-ბარძაყის სახსრებისა. უარი თქვით მწვავე და ცხიმიან საკვებზე, ნუ გადატვირთავთ ღვიძლს. უმჯობესია, გადავდოთ ახალი საქმეები. ერიდეთ ტრავმატიზმს, თავი აარიდეთ დავებს, მეტი დრო დაუთმეთ სეირნობას.

20 — სასესე მთვარე. მთვარე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე არასტაბილური ფსიქიკით — მათთვის ეს კრიზისული პერიოდია. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. სახიფათოა გადაჭარბებული ფიზიკური აქტივობა. საალბათოა სტენოკარდიის შეტევები, უძილობა, ანთებითი პროცესების გამწვავება, ძლიერი სისხლდენა ჭრილობის მიღების დროს, ვინაიდან სისხლი მაქსიმალურად თხევადი ხდება. ძლიერი ხდება წამლებისა და სპირტიანი სასმელების ზემოქმედება. ყველა ნივთიერება კარგად აითვისება. რომ არ გავსუქდეთ, ცოტა უნდა ვჭამოთ.

21 — მზე კირჩხიბის ნიშანში გადადის. მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში. შესაძლებელია რამდენადმე შენელებული რეაქცია გარეგნულ მოვლენებზე. მეტად საალბათოა სახსრების, განსაკუთრებით მუხლების დაავადებანი, სახსრების რევმატიზმი და ხერხემლის ტკივილები, კუჭის შეკრულობა. შესაძლებელია შარდ-სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები. ერიდეთ ტრავმატიზმს, ნუ ასწევთ მძიმე საგნებს, შეზღუდეთ ფიზიკური დატვირთვები, ერიდეთ გაცივებას.

26 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. ემოციურობა, ოცნება, დაბნეულობა ქმნიან წინაპირობებს ავარიული და ტრავმასაშიში სიტუაციებისათვის. საალბათოა ლიმფატიკური, ენდოკრინული და სისხლძარღვთა სისტემების ტკივილები. არის შხამიანი სითხეებით, წამლებით, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებით, ალკოჰოლით მოწამვლის ალბათობა. სასარგებლოა წყლის პროცედურები და ტერფების მასაჟი.

27 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. ორგანიზმში ყველა რეაქციის აქტიურობა ნელდება, ქვეითდება საერთო ტონუსი, ძალები მცირდება, განწყობილება უარესდება. შესაძლებელია იმუნიტეტის დასუსტება, ნერვული და ფიზიკური ჩავარდნები. აფეთქებულობამ, მოუთმენლობამ და კონტროლის დაუმორჩილებელმა ემოციებმა შეიძლება კონფლიქტებთან მიგვიყვანოს. არ არის სასურველი პროთეზირება, ზედა კბილების მკურნალობა და ამოღება, თმის შეკრეჭა. ფიზიკური დატვირთვა უნდა იყოს ზომიერი, ახალი მთვარისათვის კი იგი კიდევ უნდა შევამციროთ.

ურეკი-შეკვეთილის ხვალინდელი დღე

„ჩვენი რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულება ქვეყნის სივრცითი მოწყობაა. ეს გულისხმობს ქვეყნის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, რაც შეუძლებელია წარმატებით განხორციელდეს შესაბამისი სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმის გარეშე“, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ჩვენ დავიწყეთ ამ პროცესის სრულყოფა — უკვე მომზადებული და დამტკიცებულია ხერთვისის, ოლოდას, ვარძიის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაცია, ვმუშაობთ ბახმაროს, ასევე მესტია-მულახისა და ახმეტა-თუშეთის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის უზრუნველყოფისთვის კონკურსების ორგანიზებაზე, უკვე მზად არის და როგორც მუნიციპალურ, ასევე ცენტრალურ დონეზე მალე დავამტკიცებთ გუდაურის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაციას. დღეს კი მთავრობის სხდომაზე ურეკისა და შეკვეთილის ტერიტორიისთვის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დადგენილების პროექტი გავიტანეთ, რომელიც მუნიციპალურ დონეზე უკვე დამტკიცებული იყო“, — განმარტა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ვიცე-პრემიერის თქმით, ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ურეკი-შეკვეთილის ტერიტორიის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ურეკის ზღვისპირა კლიმატური კურორტის მაღალი პოტენციალი, მოხერხებული სატრანსპორტო კავშირები, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმარება, რაც უზრუნველყოფს ამ ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშვნელობის, მაღალი დონის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის შექმნას.

„ურეკი მნიშვნელოვანი ბუნებრივი სამკურნალო ზღვისპირა კურორტია, მაღალი ტურისტულ-სარეკრეაციო პოტენციალით და მიზანშეწონილია, რომ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მოხდეს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის განახლება — რევიზია, მითუმეტეს, იმ ფონზე, რომ ბოლო წლების განმავლობაში ურეკში მიმდინარეობს აქტიური სამშენებლო სამუშაოები“, — აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ვიცე-პრემიერის შეფასებით, ასეთივე მაღალი ტურისტულ-სარეკრეაციო პოტენციალი გააჩნია შეკვეთილის ზღვისპირა ტერიტორიასაც. მისი განცხადებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში, კურორტის ფუნქციონირება მთელი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ინტერნეტიდან

ლუიზა რამოსი და ჯალალ-ედ-დინი

ბრაზილიელი მობურთალის დუგლას კოშტას ვეტერან, ოღონდ პოდიუმის ვეტერან ცოლს ლუიზა რამოსს სექსი და ტუჩთა შეწებება ისე ძალიან ყვარებია, რომ ამას არათუ მალავს, არამედ საჯაროდ იძახის, იმ ოხერ-ტიალ ჯალალ-ედ-დინს ჩემი სექსი რომ ენახა, შეიძლება თბილისი არც კი მოეოხრებინაო.

ლუიზა რამოსი, სანამ დუგლას კოშტას შეხვდებოდა, მანამდე ორჯერ იყო გათხოვილი და მიუხედავად იმისა, რომ წინა ქორწინებებზე საუბარი არ უყვარს, სავარაუდოდ, სწორედ მაშინ დახვეწა სექსმოყვარეობის გრძნობაც, სურვილიცა და ის ხერხ-მეთოდებიც, რითაც ამ ტროყია დუგლასსაც აუციმციმა თვალები.

როგორც დასაწყისში გითხარით, ლუიზა რამოსი პოდიუმის ვეტერანია და თავი დანებებული აქვს მოდელობისათვის, თუმცა, ფოტომოდელობას მაინც ვერ ელევა და ხანდახან ისეთ პოზაში წამოპლაკული აჩხაკუნებინებს ფოტოკამერას — კაცს ყველაფერი დაავიწყდება და წამსვე ჯალალ-ედ-დინზე დაიწყებს ფიქრს.

როსტომ რაჭველიშვილი

იყალთოს ხევი სახეს იცვლის

6 ივნისის მთავრობის სხდომაზე თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, იყალთოს ხევის განვითარების ღონისძიებების თაობაზე მომზადებული განკარგულების პროექტი დაამტკიცეს, რომელიც მთავრობის წევრებს განსახილველად დიმიტრი ქუმსიშვილმა წარუდგინა.

ვიცე-პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-შენარჩუნება და მათი მიმდებარე ტერიტორიის განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით.

„განვიხილეთ ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — იყალთოს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის, იყალთოს ხევის განვითარების ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიხედვით სპეციალურად შექმნილმა კომისიამ უნდა შეისწავლოს იყალთოს ხევის, როგორც ტურისტული ობიექტის მიმზიდველობის შესაძლებლობები. პროექტის განხორციელებაში კოორდინირებულად ჩაერთვება რამდენიმე სამინისტრო, რომლებიც ერთობლივად შეიმუშავებენ იყალთოს ხევის განვითარების გეგმა-კონცეფციას.

იყალთოს ხევის განვითარების მიზნით, პირველ ეტაპზე განხორციელდება მისასვლელი საავტომობილო გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, მათი რეაბილიტაცია-მშენებლობისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებების პირველადი შესწავლა, მეწყრული პროცესებისა და მათი გამომწვევი მიზეზებისა და ქარის ნაკადების კვლევა.

გარდა ამისა, მოხდება იყალთოს ხევში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არქეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ცოლ-ქმარი რესტორანში:

— ჩემო კარგო, მინდა სერიოზულად დავილაპარაკოთ.

— იცი, ძვირფასო, ძალიან დავიღალე, ჯობს ვიცეკვოთ!..

* * *

სოციოლოგიის გამოცდაზე ლექტორი კითხვას უსვამს სტუდენტს:

— თქვენი აზრით, დამნაშავეობა მატულობს თუ იკლებს?

— ჰმ... რა თქმა უნდა, იკლებს.

— დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

— წარმოიდგინეთ, პატივცემულო — აბელისა და კაენის დროს 50 პროცენტი მკვლელი იყო!..

* * *

ორი ქერათმიანი დაქალის საუბარი:

— ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველა მამაკაცი ერთნაირია, მხოლოდ ხელფასი აქვთ განსხვავებული.

* * *

ცოლმა მთხოვა მისთვის პომადა მიმეწოდებინა, მე კი შემეშალა და სუპერწებო მივეცი... ახლა უკვე ერთი კვირაა, ხმას აღარ მცემს...

* * *

ტყუილია, რომ საარსებო მინიმუმით ცხოვრება არ შეიძლება. ნამდვილად შეიძლება, ოღონდ არა დიდხანს.

* * *

მიღებაზე ოფთალმოლოგთან: — აი, ეს თქვენ კითხვისთვის განკუთვნილი სათვალის რეცეპტი. მეორე რეცეპტი კი იმ სათვალისაა, რომელიც კითხვისთვის განკუთვნილი სათვალის მოსაძებნად დაგჭირდებათ.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.142; ევრო - 2.386;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.087;
100 რუბლი - 3.199; თურქული ლირა - 0.726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.442;
1000 სომხური დრამი - 5.475

ამინდი 8 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +12,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +6,	დღე +22
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +13,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +21
თბილისი:	ღამე +15,	დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE